

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი



სისხლის სამართლის პროცესის სამაგისტრო პროგრამა

თემა: მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ნიკა ღულუნაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი: თეა შაყულაშვილი

თბილისი

0156

საქართველო

სარჩევი

ანოტაცია	3
Anotation	4
შესავალი	5
თავი I. მტკიცების ინსტიტუტი- როგორც სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ტიპის მსაზღვრელი.....	7
1.1 მტკიცებულებები და მტკიცება ბრალდებით პროცესში.....	7
1.2 შეჯიბრებითი პროცესი	11
1.3 მტკიცებულებები და მტკიცება ინკვიზიციურ პროცესში.....	14
1.4 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გამოძიების სტადიაზე	17
1.5 მტკიცებულებათა სახეები და მისი კლასიფიკაცია	19
თავი II. მტკიცებულებების მოპოვება და საპროცესო დამაგრება	27
2.1 საგამოძიებო მოქმედებების დახასიათება	31
2.1.1 ღია საგამოძიებო მოქმედებები	33
2.1.2 ფარული საგამოძიებო მოქმედებები	42
თავი III . მტკიცებულებათა დასაშვებობა.....	49
თავი IV . „მოწამლული ხის ნაყოფი“	63
4.1 მტკიცებულებათა ასიმეტრია	68
დასკვნა	69

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესულურ ასპექტებს სისხლის სამართალწარმოებაში. ნაშრომში განხილულია მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი ცალკეული სახეები და ნიშან-თვისებები, ასევე გამოკვეთილია მტკიცებულებათა დასაშვებობისათვის განსაზღვრული პროცესულური საკითხები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი ძირითადი თავის, დამატებითი თავებისა და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მთლიანობაში მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 70 გვერდს.

სამაგისტრო ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა: მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები, მტკიცებულებათა ცალკეული სახეები, მტკიცებითი პროცესის თავისებურებანი, მტკიცებულებათა დასაშვებობის ცნება და ელემენტები და ცალკეული სახის მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები. კერძოდ ის, თუ რომელი მტკიცებულებებია დასაშვები და რომელმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამართლიან მართლმსაჯულებას. ნაშრომში განხილულია „მოწამლული ხის ნაყოფის თეორია“ და მისი დადებითი მხარეები სისხლის სამართლის პროცესში, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის პრობლემური საკითხები.

Anotation

The submitted Master work is dedicated to the procedural aspects of admissibility of the evidences in criminal proceeding. In the work, it's been discussed history of origin and development of the evidences, it's separable types and features, also it's been outlined procedural issues, wich are determined for the admissibility of evidences.

The master work consists of introduction, four main chapters, additional paragraphs and conclusion, which are attached a list ot the used literature and it totally includes 63 pages, printed on the sheet of paper.

In the master work, it's thoroughly discussed such issues as they're: historical aspects of origin and development of the evidences, concepts and elements of admissibility of the evidences and the problems of admissibility of certain kinds of evidences. Namely which evidence is admissible and which may threaten a fair trial.

The paper discusses the "poisoned tree fruit theory" and its advantages in criminal proceedings, As well as problematic issues of admissibility of evidence obtained as a result of covert investigative actions.

შესავალი

თემის აქტუალობა. მტკიცებულებათა დასაშვებობობა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სისხლის სამართლის საქმის ბედი, გამოძიების და/ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება/შეწყვეტა, საქმის „გადასვლა“ პროცესის მომდევნო სტადიაზე და საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელება ანუ ბრალდებულის მსჯავრდება ან გამართლება- მთლიანად არის დამოკიდებული მხარეთა მიერ მტკიცებულებების მოპოვების, მათი შეფასების კრიტერიუმებისა და მტკიცების სტანდარტების დაკმაყოფილებაზე.

ერთი შეხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს კანონიერად მოპოვებულ, ავთენტიკურ და რელევანტურ მტკიცებულებებს, თუმცა, ის მტკიცებულებებიც კი, რომელიც სამივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს, სხვა და სხვა ფორმალური მიზეზის გამო შეიძლება არ იქნეს დაშვებული საქმეზე. სწორედ ასეთი მკაცრი ფილტრაცია „აიძულებს“ მხარეებს, განსაკუთრებით კი ბრალდების მხარეს და მის უკან მდგომ სახელმწიფოს, ბოროტად არ ისარგებლოს მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით და სისხლის სამართლის პროცესით განსაზღვრული მძიმე, იძულებითი მექანიზმები არ გამოიყენოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფებებისა და თავისუფლებების თვითნებური და გაუმართლებელი შეზღუდვის მიზნით.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ემყარება მხარეთა თანასწორობისა შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც მოითხოვს მხარეებისთვის თანაბარ პირობების შექმნას პროცესის ყველა სტადიაზე, თუმცა, უდაოა, რომ სრული თანასწორობის მიღწევა იქ, სადაც ერთ მხარეს სახელმწიფო დგას- უზარმაზარი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსით, მეორე მხარეს კი მოქალაქე, თუნდაც საუკეთესო ადვოკატების მიერ მხარდაჭერილი-შეუძლებელია. ამასთან, მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები (მაგალითად: ფარული საგამოძიებო მოქმედებები, გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და სხვა), რაც უშუალოდ უკავშირდება მტკიცებულებათა მოპოვებას, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებელია ხორციელდებოდეს დაცვის მხარის მიერ, ამიტომ თანასწორობის ბალანსის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაცვის მხარისთვის სხვა- საპირწონე მექანიზმების არსებობა, რათა სასამართლოს წინაშე „შეჯიბრი“ სხვა და სხვა „წონითი კატეგორიის“ მხარეებს არ მოუწიოთ.

საკითხის პრობლემურობაზე მიგვანიშნებს, ისიც რომ, ყველაზე ხშირად, საკონსტრუქციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლებია, რომლების მტკიცებულებათა მოპოვებას, მტკიცების პროცესს და მტკიცების სტანტარტებს უკავშირდება.

ამდენად, უკანასკნელი 70 წლის მანძილზე დემოკრატიული ქვეყნების მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის შერბილების, სისხლის სამართალწარმოების ლიბერალიზაციისა და პროცესის მონაწილეთა უფლებების უპრეცედენტო განმტკიცების ფონზე, მტკიცების პროცესთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ რჩება სამართლიანი მართლმსაჯულების მთავარ გამოწვევად.

კვლევის ობიექტია მტკიცების ციკლის (მოპოვება, საპროცესო დამაგრება, შემოწმება, შეფასება) პროცესში, მხარეთა მიერ კანონის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, სასამართლოს მიერ მხარეთა წარდგენილი მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმები და მათი დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები და არსებული სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მექანიზმებისა და არსებული პრაქტიკის გაანალიზება, იმ ნაკლოვანებების წარმოჩენა, რომელიც ერთის მხრივ ხელს უშლის მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას მეორეს მხრივ კი აბრკოლებს უფლებამოსილი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილ გამოძიებას, რაც შესაძლებელია მძიმედ აისახოს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, ასევე, მტკიცებულებათა კეთილსინდისიერად მოპოვებისთვის არსებული პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, და მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის თეორიულ საფუძვლებს და ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს მტკიცებულების პროცესთან დაკავშირებით ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურა, ამ მიმართულებით სხვა და სხვა არასამთავრობოს ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები, სასამართლო პრაქტიკა და არსებული სტატისტიკა.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მან მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს, რადგან „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“¹ და სანამ იგი ვინმეს ბედს

გადაწყვეტს საჭიროებს გამოკვლევას, ამ დროს შეიძლება განაჩენი დაეყრდნოს დაუშვებელ მტკიცებულებებს, ასეთმა საექვო მტკიცებულებების დაშვებამ შესაძლოა უდანაშაულო პირის პასუხისმგებლობაში მიცემაც კი გამოიწვიოს, რაც არა მხოლოდ კონსტიტუციით დაცულ უფლებას, არამედ სისხლისსმართლებრივი დევნის მიზნებსაც უპირისპირდება.

თემის მიზანია განვიხილო მტკიცებულებასთან დაკავშირებული ნორმატიული მასალის, აგრეთვე, როგორც საართველოს ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა, იმისათვის რომ გავანალიზოთ მტკიცებულებათა დასაშვებობასთან მიმართებაში ხომ არ ირღვევა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, ასევე განვიხილავ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეულ პრობლემებსა და წინააღმდეგობებს.

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილი

თავი I. მტკიცების ინსტიტუტი-როგორც სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ტიპის მსაზღვრელი

1. მტკიცებულებები და მტკიცება ბრალდებით პროცესში

მტკიცების ინსტიტუტს მართლმსაჯულების ისტორიაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ის იყო, არის და მომავალშიც იქნება წარსულ დროში მომხდარი, დანაშაულთან დაკავშირებული უცნობი ფაქტების მაქსიმალური სიზუსტით აღდგენის ერთადერთი საშუალება რომელიც არამარტო სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტურ ჭეშმარიტების დადგენას და ბრალდებულის გამართლებას ან მსჯავრდებას ემსახურება, არამედ გვიჩვენებს, სისხლის სამართალწარმოების რომელი ისტორიულ ფორმას ანიჭებს უპირატესობას ქვეყანა და შესაბამისად, რა პრინციპებს ემყარება მისი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

თანამედროვე, ლიბერალურ, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესის სისტემის ჩამოყალიბებამდე კაცობრიობამ გრძელი და რთული გზა გამოიარა. ამ გზის დასაწყისში სისხლისსამართლებრივი დავები

„კერძო“, „პირად“ საქმედ მიიჩნეოდა და მონათმფლობელურ და ადრეფეოდალურ საზოგადოებაში მისი გადაწყვეტის რამოდენიმე გზა არსებობდა: მოლაპარაკება, შურისძიებითა, ანგარიშსწორება. იმ პერიოდში კანონის თავისებურებანი, რელიგიური ნორმები და კერძო ინტერესები ერთმანეთში იყო არეული. საზოგადოება არ ფლობდა შემეცნებით საშუალებებს და სამართლიანობის გასარკვევად ღმერთს მიმართავდა, ამიტომ ბრალდებით პროცესში მტკიცება მიმართული იყო არა საქმის არსისკენ, არამედ მის გარეთ - ზებუნებრივი ძალებისკენ. მტკიცების საშუალებად გვევლინებოდა ორთაბრძოლები, ორდალიები („ღვთიური სამართალი“ ცეცხლით, წყლით, რკინით გამოცდის სახით), განწმედითი ფიცის დადება. ღმერთი მოდავეთა სამართალს იმით განსაზღვრავდა, რომ რთული შეჯიბრების მოგებაში ეხმარებოდა, ამიტომ მტკიცების პროცესი მკაცრად ფორმალური იყო.

თუ მხარეები „მტყუნ- მართალის“ გარკვევას უხუცესთან, ბელადთან ან სხვა უფლებამოსილ პირთან გადაწყვეტდნენ, ბაღდებისა და თავის მართლების ტვირთი მთლიანად მათ ეკისრებოდათ. „ დევნის დაწყება და დამნაშავესთვის სასჯელის შერჩევა, მთლიანად დაზარალებულის ნებაზე იყო მინდობილი¹ და მასვე ჰქონდა უფლება ნებისმიერ დროს შეეწყვიტა პროცესი (ადრეული ბრალდებითი პროცესი).

ძველ ეგვიპტეში, უნივერსალურ მტკიცებულებად ითვლებოდა პირის მიერ დადებული ფიცი, რადგან ეგვიპტური წყაროების მიხედვით ფიცი იყო „დამამტკიცებელ საბუთთა მეფე“². გარდა ამისა, ეგვიპტეში წამების გზით მოპოვებული მტკიცებულებები გამოირჩეოდა სანდოობის მარალი ხარისხით და არ საჭიროებდა დასაბუთებას სხვა მტკიცებულებებით. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ფიცმა, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთმა სახემ ძალა დაკარგა, მიუხედავად ამისა, ჰეროდოტეს გადმოცემით, პირს ქურდობის ბრალისგან თავის გათავისუფლება შეეძლოს ისევ ფიცით თუ რათქმაუნდა მის წინააღმდეგ სხვა რაიმე მტკიცებულება არ არსებობდა, რომელიც შეასუსტებდა ფიცის ძალას.³

ცნობილია ასევე „მანუს კანონები“, რომელიც ძვ.წთ-ალ-ის მე-2 საუკუნით თარიღდება, იგი წარმოადგენს ინდოეთის სამართლის წიგნს, სადაც ნათქვამია, რომ: „სამართლიანმა მეფემ არ უნდა დასაჯოს ქურდი, თუ მას ვერ უპოვნა ნაქურდალი, ხოლო ნაქურდალის პოვნის შემდეგ ის დაუყოვნებლივ უნდა დაისაჯოს“ ანუ აქ საუბარია ნივთიერ მტკიცებულებაზე, რომლის არსებობის შემთხვევაში პირს ეკისრებოდა სასჯელი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ისტორიული ძეგლების მიხედვით, ჯერ კიდევ ძველი ეპოქის ქვეყნებში გვხვდება მტკიცებულებათა ისეთი სახეები, როგორცაა ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი და მოწმის ჩვენება. ეგვიპტეში ნივთიერ მტკიცებულებას იყენებდნენ ისეთი დანაშაულის გამოსაძიებისას, როგორც იყო საფლავის შეურაცყოფა, რომლის დროსაც ხდებოდა დანაშაულის ადგილის დათალიერება და მტკიცებულებათ შეგროვება კვალის და ნივთების სახით.⁴

ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენების ფაქტი ჩინეთის ტერიტორიაზეც გვხვდება X-XIII ს.ს -ში. ცნობებში ნათქვამია, რომ თუ პიროვნება ხელისუფლების წარმომადგენელთან მივიდოდა ნივთიერი სამხილით და მოინანიებდა მას ათავისუფლებდნენ სასჯელისაგან.⁵

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ნივთიერი მტკიცებულებები ქართულ სამართალშიც გვხვდება, კერძოდ. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში. ასევე გიორგი მეხუთე „ ბრწყინვალის“ „ძეგლის დებაში“ (1334-1335 წ.წ). აგრეთვე, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნში ნათქვამია, რომ: საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის, რომე ამით თავი იმართლების: პირველი - ფიცი, მეორე შანთი, მესამე-მდუღარე, მეოთხე-ხმალი, მეხუთე-მოწამე, მეექვსე -ცოდვის მოკიდება. ამით თითოსა და თითოს ზღვარი აქვს, თუ რომელ რომელს საქმეზედ უნდა დაედვას.⁶ გამომდინარე აქედან, ვხედავთ რომ ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ აღიარებდა წერილობით მტკიცებულებებს და ორდალიებს- შანთს, მდუღარეს და ხმალს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ სამართალში რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულს და ითვლებოდა, რომ ბრალი იგივე ცოდვაა და ყველა სასჯელი უფლის სახელით სრულდებოდა.

ბრალდებითი სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები ასე გამოიყურებოდა: **პროცესის მიზანი** მხარეთა მორიგება ან ზებუნებრივი ძალების კარნახით გადაწყვეტილების მიღება იყო.

პროცესის მხარეები; ბრალმდების მხარე (დაზარალებული, დაზარალებულის ნათესავი) - პროცესის მამოძრავებელი ძალა, რომელის ნებაზე დამოკიდებულია პროცესის დაწყება და შეწყვეტა, მასვე ეკისრება ყველა სამართლებრივი და ფინანსური ტვირთი, ბრალდებულის ძებნა, მისი მოსამართლესთან წარდგენის უზრუნველყოფა, **დაცვის მხარე** (ბრალდებული, წარმომადგენელი)-პროცესის სრულფლებიანი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია პროცესზე გავლენის მოხდენა, საჩივრის ცნობის და სასჯელის მიღების, ან მისი უარყოფის გზით. **გადაწყვეტილების მიმღები პირი/ორგანო, (სასამართლო)**- მოქმედებდა მხოლოდ საჩივრის ფარგლებში, მხარეების გადაწყვეტილება პროცესის დაწყებისა და შეწყვეტის თაობაზე მისთვის

სავალდებულო იყო, არ მონაწილეობდა მტკიცებულებების შეკრებაში და მიზანს წარმოადგენს არა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, არამედ მხარეების პოზიციების მოსმენა და დავის გადაწყვეტა (მოგვარება), პროცესი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპით, თუმცა ფორმალური მტკიცებულებების გვერდით მოგვიანებით ჩნდება მატერიალური მტკიცებულებები, მტკიცებულებების შეფასება იყო ფორმალური და ემყარებოდა ან გამარჯვებას, გაძლევას, რის საშუალებასაც „მართალ“ მხარეს ზებუნებრივი ძალები აძლევდნენ, ან მტკიცებულებათა „წინასწარდადგენილ“ წონას და უპირატესობას. ნებისმიერი გადახვევა დადგენილი წესებიდან იწვევს მეორე მხარისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას. ბრალდებით პროცესში „სამი მტრულად განწყობილი მხარე მოსარჩელე, მოპასუხე და მოსამართლე ექიმპეობდა ერთმანეთს, მაგრამ ორი მათგანის კავშირი, წყვეტდა საქმის ბედს, მესამის ხარჯზე“.

მოგვიანებით ანტიკური ეპოქაში, ათენსა და რომში, მწყობრი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, პროცესმა ფორმა და შინაარსი იცვალა, ადრეული ბრალდებითი პროცესი ჩაანაცვლა კერძო ბრალდებითმა. დანაშაულის ჩადენის დადასტურება აღარ იყო დამოკიდებული ზებუნებრივ ძალებსა და ორთაბრძოლებში გამარჯვებაზე, მხარეებს საშუალება მიეცათ განათლებული ორატორული უნარების მქონე ადამიანების მეშვეობით წარმდგარიყვნენ საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პირების წინაშე, გამოსაკვლევად წარედგინათ საგნები, ნივთები (ნივთიერი მტკიცებულებები), გამოეკითხათ ადამიანები, რომლებიც თავისი ნაამბობით მხარის პოზიციას გაამყარებდნენ (მოწმეები), საქმის გადაწყვეტა მისი სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით გადანაწილებული იყო სხვადასხვა პირებზე (ქურუმები, კვესტორები) ან სასამართლოებზე (მაგ: არეოპაგი, ეფეტები, ჰელიკია-ათენში; კომიცია, სენატი- რომში). მიუხედავად იმისა, რომ მე-3 საუკუნეში რომაელმა იურისტმა ულპიან დომიციუსმა პირველად გამიჯნა კერძო და საჯარო სამართალი და განმარტა, რომ „საჯარო სამართალი მიეკუთვნება რომაული სახელმწიფოს სარგებელს, ხოლო კერძო სამართალი ცალკეულ პირთა სარგებელს“ და დანაშაულის გამო სამართალწარმოება სწორედ „საჯარო სარგებლად“ მიიჩნია, მის ამ მოსაზრებას არც რომის და არც სხვა ქვეყნების სისხლის სამართალ წარმოებაზე (კერძო სამართლისგან განსხვავებით) გავლენა არ მოუხდენია, ის კვლავინდებურად ინარჩუნებდა კერძო-ბრალდებითი ხასიათს და სახელმწიფოს როლი და ინტერესი, დაზარალებულის ნებიდან დამოუკიდებლად დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯაზე მთელს ევროპაში მე-11- მე-12 საუკუნემდე რჩებოდა ნომინალური.

1. Tyrone Kirchengast; The Victim in Criminal Law and Justice ; 2006w .p. 25- 29

2. გ. ნადარეიშვილი სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2008, გვ. 21; 3 იხ., იქვე, გვ. 22-23.

3. იხ, იქვე, გვ. 22-23.
4. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტომი პირველი, გვ. 20, თბილისი, 1995 წ.
5. ნადარეიშვილი გ., ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1986, გვ. 164.
6. ბიჭია მ., ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2013, გვ. 193.
7. Калиновский К.Б. Основные виды уголовного судопроизводства: Изд. юридического института (Санкт-Петербург), 2002, 39-41.

ისტორიულად, სისხლის სამართლის პროცესი იცნობს 2 ძირითად ფორმას, ესენია: შეჯიბრებითობის (ბრალდებითი პროცესი) და სამძებრო(ინკვიზიციური) პროცესი.

შეჯიბრებითი პროცესი

შეჯიბრებით პროცესს ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი დაახლოებით მე-17 საუკუნეში წარმოიშვა.ეს პროცესი არის ბრალდებითის და ინკვიზიციურის ჯამი, ორივე ისტორიული ტიპის საუკეთესო ნაზავი. ამ პროცესში მთავარი იყო ბრალდება, რადგან მის გარეშე საქმის წარმოება ვერ დაიწყებოდა, ეს პროცესი კი შეჯიბრებითი ხასიათისაა, ანუ ეს არის თანასწორუფლებიან მხარეთა კამათი მათგან დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი უფლებებით და სასამართლოს როლი გადაწყვეტილების მიღებაში.¹

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულმა საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა, მრავალი ნოვაცია შემოიტანა ქართული მართლმსაჯულების სისტემაში, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეჯიბრებითობის, იგივე მოსმენის უფლების სრულიად ახალი ფორმის დანერგვა სისხლის სამართლის პროცესში. შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკური ტიპი ანგლო-ამერიკული სამართალწრმოებიდან იქნა გადმოღებული. ამასთან ქართული მოდელი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. „ შეჯიბრებითობის“⁴ ე.წ კლასიკური მოდელი ეფუძნება იმ ამოსავალ დებულებას, რომ სისხლის

სამართლის პროცესი არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ხორციელდება. ამგვარ დავაში ვამბობთ, რომ ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მაგრამ ეს ასე არ არის. სამართალწარმოება სამართლიანი იქნება მაშინ, როცა მოწინააღმდეგე მხარეები იქნებიან ერთნაირ წონით კატეგორიაში.

პრობლემა იმაშია, რომ შეჯიბრობითობის პრინციპით მხარეებს ერთნაირი საპროცესო უფლებები არ აქვთ. მაგალითად, ბრალდების მხარის პრივილეგიას წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელება, კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველი საგამომიებო მოქმედებების ჩატარება, მათ შორის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს განჩინების გარეშე, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედების და ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება. გარდა ამისა, ბრალდების მხარეს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური და ადამიანური რესურსი მტკიცებულებების მოსაპოვებლად და ბრალდების დასამტკიცებლად. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მას არაქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კომპიუტერული ან ფარული საგამომიებო მოქმედებებში, ამას იმით ხსნიან, რომ შესაძლოა დაირღვეს იმ ადამიანების შესახებ პირადი უფლებები, რომლებიც შესაძლოა საქმესთან შემხებლობაში საერთოდ არ იყვნენ. დაცვის მხარის სპეციალურ უფლებებს მიეკუთვნება უდანაშაულობის პრეზუმცია, ბრალდების შესახებ ინფორმირებულობის უფლება, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, დუმილის უფლება, პირადად და ადვოკატის დახმარებით თავის დაცვის უფლება, პარალელური გამოძიების ჩატარებისა და მტკიცებულებების მოპოვების უფლება, სასამართლო განხილვის დროს ბოლო რეპლიკით გამოსვლის უფლება, გასაჩივრების უფლება, მცდარი მსჯავრდებისათვის კომპენსაციის უფლება.

რაც შეეხება გაცვლის ვადებს მნიშვნელოვანია რადგან, როგორც უკვე ავლინებ ბრალდების მხარე თავის მატერიალური და ადამიანური რესურსით ასევე, კანონიერი პრივილეგიებით ყოველთვის წინ არის დაცვის მხარეზე, გარდა ამისა არის მთელი რიგი მოქმედებები (მაგ. ფარული საგამომიებო მოქმედებები, კომპიუტერული მონიტორინგი) რომლის განხორციელების უფლებასაც დაცვის მხარეს ვერავინ მისცემს, რადგან სახელმწიფო მკაცრად

აკონტროლებს მის მიერ ჩატარებულ ასეთ მოქმედებებს (ორმაგი სისტემით) , რასაც ვერ უზრუნველყოფს დაცვის მხარესთან მიმართებაში. მე ვფიქრობ რომ შეჯიბრებითი პროცესი რომ უფრო სამართლიანი გახდეს, სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი ბაზა იმისათვის, რომ ორივე მხარის უფლებები თანაბრად იყოს განაწილებული, გასაგებია, რომ ადვოკატს და ბრალდებულს ფარული მოსმენის, მიყურადების, თვალთავლის უფლება რომ მისცე, ათასობით ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია დადგენა რისკის ქვეშ, რაც კონსტიტუციურ ნორმებს ეწინააღმდეგება, მაგრამ თუნდაც იგივე ფორმით, (როგორც ეს ბრალდების დროს ხდება) დაცული იყოს დაცვის მხარის უფლებებიც. ამ ეტაპზე დაცვის მხარის საპირწონე უფლებათა- ნებისმიერ დროს ინფორმაციის მოთხოვნა ბრალდების მხარისთვის. ამკარაა, რომ დაცვის მხარის აღნიშნული უფლებები ვერ გადაწონის ბრალდების პრივილეგიებს, თუმცა მხარეთა „ფორმალური“ თანასწორობის უზრუნველყოფისთვის მათი არსებობა აუცილებელია.

დღეს საზღვარგარეთის ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესი, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. გარდა ამისა, მათი კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების წესებს. აშშ-ს ფედერალური წესები ყველაზე ახლოს დგას საქართველოს სისხლის სამართლის პროცესთან, უფრო ზუსტად კი მტკიცებულების მოპოვებასა და დასაშვებობის სფეროში. ამერიკის სისხლის სამართლის წყაროებია პრეცედენტული ნორმები და 1787 წლის კონსტიტუცია. მართალია ამერიკის სამართალს არ გააჩნია სისხლის სამართლის ერთიანი კოდექსი, თუმცა ფედერალური წესები არეგულირებენ საკითხებს მტკიცებულებებთან დაკავშირებით.² ამერიკის სისხლის სამართალსა და საქართველოს სისხლის სამართალს შორის ასევე ის მსგავსებაა, რომ მაგალითად, მოწმის ჩვენება ისევე გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად, როგორც ქართულ კანონმდებლობაში. ასევე, ექსპერტის დასკვნა ამერიკის კანონმდებლობითაც შეიძლება მტკიცებულებად იქნეს დაშვებული სისხლის სამართლის საქმეზე, ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით ფედერალური კანონმდებლობა ადგენს, რომ აუცილებელია ექსპერტმა მისი დასკვნის მიზეზები და საფუძვლები ახსნას და განმარტოს. გარდა ამისა აშშ-ს კანონმდებლობა, მსგავსად საქართველოსი, აღიარებს წერილობით, იგივე დოკუმენტურ მტკიცებულებას და განმარტავენ, რომ წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს დოკუმენტი, რომელიც

შედგება ასოთი, სიტყვით, იგი შეიძლება შედგენილი იყოს ასევე ვიდეოფორით, ფოტოგადაღებით ან სხვა საშუალებებით.³ ყველაზე მნიშვნელოვან მსგავსებას კი წარმოადგენს „მოწამლული ხის ნაყოფის თეორია“, რომელიც აშშ-ში 20-ე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და დღეს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში უკავია მნიშვნელოვანი ადგილი.

-
1. ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, გამომცემელი „იურისტების სამყარო“ 2017 გვ. 130.
 2. ჩომახაშვილი ქ, თომაშვილი თ, ძეგნიაური გ, ოსევაშვილი ს, პატარიძე მ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2016, გვ. 42;
 3. იხ. იქვე, გვ. 46.
 4. ი. აქუბარდია შეჯიბრებითობის ქართული მოდის ზოგიერთი ასპექტი, სტატია გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალიდან - www.dgstz.de, გვ. 11. xANipn7d9monSqwAEtyMTmrGNSVfCx6JSjFQHnRW.pdf (dgstz.de)

2. მტკიცებულებები და მტკიცება ინკვიზიციურ პროცესში

შუა საუკუნეებში, ფეოდალური საზოგადოების განვითარებისთან ერთად, ერთის მხრივ, მუდმივმა აჯანყებებმა და შეთქმულებმა, მეორეს მხრივ კი ისეთი დანაშაულების მატებამ, როგორც არის მკვლელობა, ძარცვა, ცეცხლის წაკიდება და სხვა, სამეფო ხელისუფლებებს გაუჩნდათ აუცილებლობა ხელისუფლების, მშვიდობის და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით მეტი აქტიურობა გამოეჩინა სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით. ჩამოყალიბდა დაიწყო სისხლის სამართლის დევნის ორგანოებმა, სისხლის სამართალწარმოებაზე უფლებამოსილ პირების საქმიანობის წესები განისაზღვრა საერთო ხასიათის ნორმატიული აქტებით, მათთვის სავალდებულო გახდა „სპეციალური ცოდნის“ შეძენა, განმტკიცდა სასამართლო ხელისუფლება და სასამართლო განხილვა დაექვემდებარა წერილობით ფორმას. თუმცა გამოდიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უფლებას დაზარალებული კვლავაც ინარჩუნებდა (სარჩელის

წარდგენის გზით), მისი შეწყვეტა ან დასრულება სრულად სახელმწიფო ორგანოების პროოგატივას წარმოადგენდა. სისხლის სამართლის დევნა გახდა საჯარო ინტერესის გამომხატველი, რაც უფლებას აძლევდა სახელმწიფოს შეეღწია ყველგან და ყოფილიყო სასტიკი და დაუნდობელი ყველას მიმართ, ვინც „თვალში არ მოსდიოდა“. საერო ხელისუფლების განუსაზღვრელ ძალაუფლებას ემატებოდა ეკლესიის მტრებისა და მოწინააღმდეგეების გამოსავლენად სასულიერო ხელისუფლების ინკვიზიციური საქმიანობა, რამაც ადამიანები სრულიად უუფლებო არსებებად აქცია ხოლო შუა საუკუნეები და ამ პერიოდის სამართალწარმოება სამუდამოდ დატოვა ისტორიში როგორც მჩაგვრელი სახელმწიფოს სახე, რომელსაც გამუდმებული ბრძოლით უნდა „გამოგლიჯო საკუთარი“ უფლებები.

ინკვიზიციური პროცესი მეტ-ნაკლები სისასტიკით შეეხო ევროპის ყველა ხალხს (რაც აისახა იმ პერიოდის ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორც არის იყო „სისხლის სამართლის დიდი ორდონანსი“-საფრანგეთში, კოდექსი „კაროლინა“-გერმანიაში, „პროცესების მოკლე აღწერა“, რისეთის იმპერიის კანონთა კრებული“ და სხ. - რუსეთში) და „სახელმწიფოს იდეამ შთანთქა პიროვნება და მისი უფლებები, ბრალდებული აქცია გამოძიების ობიექტად, რომელიც სახელმწიფოს სახელით ექვემდებარებოდა ყველაზე სასტიკ ექსპერიმენტებს, ბრალმდებლის (დაზარალებულის) უფლებები ჩაანაცვლა კანონის უსულო ნებამ, რომელიც წინსწრებით ცდილობს განსაზღვროს პროცესის მსვლელობა, პიროვნება უარყო მოსამართლეებშიც, რომლებიც „მეკრა“ მტკიცების ფორმალური თეორიით კანონმდებლის ამ უსულო ლოგიკით. პროცესიდან მხარეების განდევნამ ამ უკანასკნელს წაართვა საშუალება ყოფილიყო ცოცხალი სასამართლო დავა და გადააქცია ის უპიროვნო კვლევად, რომელსაც მხოლოდ კანონის ნება ამოძრავებს, ბრალდების ცნება ჩაანაცვლა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლებმა, დასაჩივრებამ ადგილი დაუთმო მრევზორულ წესრიგს, და ამ პირობებში პროცესის ყველა მონაწილე, სამსახურებრივი მოვალეობების ტვირთით დამძიმებული, ისწრაფვის იპოვნოს მატერიალური ჭეშმარიტება, რომლის მიღწევაც სახელმწიფოს ინტერესადაა გამოცხადებული⁴.

დღევანდელი ინკვიზიციური პროცესი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისათვის. ინკვიზიციურ პროცესში საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს აკისრია ვალეებულება EX OFFICIO გამოარკვიოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე გამამართლებელი გარემოებები. შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით,

მოსამართლე დამოუკიდებლად ატარებს სრული მოცულობით სასამართლო გამოძიებას და ამ გზით ადგენს ე.წ. „მატერიალურ ჭეშმარიტებას“. მოსამართლე საქმის განხილვის დროს არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებით და მოსაზრებებით. იგი უფლებამოსილია და ამავდროულად ვალდებულიც, ჭეშმარიტების დასადგენად მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მათ შორის ისინიც, რომელიც მხარეებს არ წარმოუდგენიათ ან არ გამოუთხოვიათ.

სისხლის საპროცესო სამართლებრივ ლიტერატურაში, მეცნიერთა ერთი ნაწილი საგამოძიებო პროცესს ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით შეჯიბრებით პროცესთან შედარებით უკეთეს მოდელად მიიჩნევს. არაერთი თეორეტიკოსი მიუთითებს იმაზე, რომ შეჯიბრებითი პროცესის პირობებში სასამართლოს მხოლოდ „პასიური არბიტრის“ როლს თამაშობს და საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შესაძლებლობას არის მოკლებული. მოსამართლე, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მასალებით, გადაწყვეტილებას იღებს იმის მიხედვით, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა უკეთესი არგუმენტები. ამიტომ, შეჯიბრობითობის პროცესის მიზანია არა მატერიალური, არამედ ფორმალური ჭეშმარიტების დადგენაშია დანახული. რათქმუნდა აღნიშნულ მოსაზრებასაც ჰყავს თავისი მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც შეჯიბრებითი პროცესის უპირატესობაზე საუბრობენ და თვლიან, რომ ეს პროცესიც „მატერიალური ჭეშმარიტების“ დადგენისკენ არის მიმართული, მათ მიაჩნიათ, რომ, შეჯიბრებით პროცესში ჭეშმარიტება მხარეების მიერ მოწმეთა ჯვარედინი დაკითვის გზით დგინდება. სიმართლე კი უკეთესად დგინდება მაშინ, როცა მხარეები საქმის გარემოებების შესახებ, დამოუკიდებლად აყალიბებენ შეხედულებებს და ამასთანავე მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტების სისუსტეზე მიუთითებენ. ამდენად, შეჯიბრებით პროცესში ადგილი აქვს მტკიცებულებათა ორკვალოვან გამოკვლევას, რომლის დროსაც ერთი მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულება პარალელურად კრიტიკულად მოწმდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ. ასეთ პირობებში საქმისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი გარემოებების და დეტალების გამოვლენა ხდება, ვიდრე ეს ინკვიზიციური პროცესის დროს არის შესაძლებელი. შეჯიბრებითი პროცესის მომხრეები ასევე უარყოფენ იმასაც, რომ მოსამართლეს „პასიური მსმენელის“ როლი აკისრია პროცესში და მიაჩნიათ, რომ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს სიმართლის დასადგენად ფართო უფლებები აქვს მინიჭებული. ეს უფლებებია: სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობა, მხარეთა მიერ მტკიცებულებების გამოკვლევაზე დაკვირვება, აგრეთვე მას უფლება აქვს მხარეების თანხმობით თავადაც დაუსვაკვს მოწმეებს დამაზუსტებელი კითხვები, საბოლოოდ კი ნაფიც მსაჯულეებს მიცეს განმარტებები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ინკვიზიციურმა პროცესმა თავისი წარუშლელი კვალი დატოვა სისხლის სამართალწარმოებში. დაამყარა რა „პროცესუალური წესრიგი“, მან

საფუძველი ჩაუყარა სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების კონცეფციას და შემოიტანა ისეთ შეუცვლელი წესები როგორც არის პროცესის წერილობის პრინციპი, ყველა საპროცესო აქტივობის დოკუმენტირება, საპროცესო საქმიანობის განხორციელება კანონით მკაცრად რეგლამენტირებული წესების დაცვით, მიღებული საპროცესო აქტების რევიზია, გასაჩივრება, გამოძიების სტადიისა და მასალების საიდუმლო და სხვა. აღნიშნული წესები, უფლებაუნარიანი მონაწილეების, თანაბარ პირობებში მყოფი მხარეების, პასუხისმგებლიანი პროცესის მწარმოებლების და თავისუფალი, ნეიტრალური, ღია სასამართლო სხდომების პირობებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე შეჯიბრებით პროცესს.

5. Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства в 2-х т., СПб.: Альфа, 1996 с. 60

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გამოძიების სტადიაზე

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა ხორციელდება არამხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე, არამედ გამოძიების სტადიაზეც. შეჯიბრებითი პრინციპი სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება სამმებრო (ინკვიზიციური). მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე (სსსკ-ის მე-9 მუხლი) ასევე ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. იგი მხოლოდ გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე არ მოქმედებს, რომელიც ხორციელდება ერთი მხარის არსებობის პირობებში, სანამ გამოძიების ორგანოს მიერ არ იქნება იდენტიფიცირებული დაცვის მხარე და არ დაიწყება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. მხარეები ატარებენ გამოძიებას დამოუკიდებლად და წინასასამართლოს სხდომამდე ერთმანეთს და სასამართლოს წარუდგენენ მოპოვებულ მასალებს. საყურადღებოა, რომ ამერიკასა და ინგლისში მხარეები არ არიან ვალდებული საქმის მასალები გადასცენ ერთმანეთს მანამ, სანამ საქმე არ გადაეცემა სასამართლოს. საქართველოს მოქმედი სსსკ-ით კი პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, დაცვის მხარე უფლებამოსილია გაეცნოს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რაც თავის მხრივ, დაცვის მხარესაც ავალდებულებს მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს გადასცეს ის

ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებს. აღნიშნული ნორმით მხარეთა თანასწორობა დაცულია.

როგორც უკვე ავლნიშნე მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ პარალელური გამოძიება და მოიპოვონ მტკიცებულებები, თუმცა, ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია (მაგ. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული და ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე; სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება). მაგალითად სსსკ-ის თანახმად, დაცვის მხარეს 2013 წლიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით. მაგრამ, დაცვის მხარის მიერ ამოღებული და მოპოვებული საგნის, ნივთის, ნივთიერებების, აგრეთვე დოკუმენტების პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.

მე ვთვლი, რომ თუ გვინდა რომ ჭეშმარიტება დადგინდეს იგი უნდა იყოს წარმართული მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. ეს მიდგომა ჩვენი ქვეყნის სამართლიანობისთვის პრობლემას წარმოადგენს, რადგან მეტი სამართლიანობისთვის დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების განხილვის დროს თანასწორუფლებიანობის დაცვით ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების პირველად გამოკვლევას უნდა ესწრებოდეს დაცვის მხარეც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი გაურკვევლობა, ეჭვები და პროცესი წარმართოს ღიად და გამჭვირვალეთ. ვფიქრობ შესაძლებელია ბრალდების მხარემ შეცვალოს ან გააყალბოს მტკიცებულებები სსსკ-ს 83 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მაშინ, როცა დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში. რა დროსაც დაცვის მხარე არ ესწრება ამ საგამოძიებო მოქმედებებს და შესაბამისად ვერც ამოწმებს, ვერც ათვალთვრებს და ვერც ხელს აწერს ოქმს ეთანხმება თუ არა არსებულ მტკიცებულებებს.

მტკიცებულებათა სახეები და მისი კლასიფიკაცია

მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია ან ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, აგრეთვე ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება პროცესი, ჩაიდინა თუ არა პირმა ეს ქმედება და დამნაშავეა თუ არა იგი.¹

ჩვენი კანონმდებლობის საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები მტკიცებულებებია: ექვმიტანილის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება, დაზარალებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებები, საგამოძიებო მოქმედების, პრეიუდიცია, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები და სხვა დოკუმენტები, ისეთი რომლის მოპოვების დროსაც ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი სახის მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით ნამდვილად სერიოზული პრობლემები არსებობს, რომელიც არასწორი პრაქტიკიდანაც გამომდინარეობს და ასევე საკანონმდებლო ხარვეზებისგანაც, რაც ინფორმაციის უტყუარობის დადგენას ართულებს. ამის გამო, ხშირად სასასამართლო გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი ინფორმაციის საფუძველზე მიიღება, რაც რათქმაუნდა საზოგადოებას უტოვებს უსამართლობისა და უნდობლობის განცდას.

დავიწყებ ერთერთი იმ პრობლემით, რომელიც **მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებებს შეეხება** და თუ რატომ არის დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე პრობლემური საკითხი ჩვენი კანონმდებლობისთვის. მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ, ხოლო მოწმის ჩვენება არის სასამართლოში მის მიერ მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის გარემოებათა დასადგენად. ამ პროცესში მხარეთათვის მნიშვნელოვანია, რომ მოწმე იყოს პირი, რომელიც ხასიათდება ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით და შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, მით უმეტეს,

რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია მოწმის სანდოობის თაობაზე ექსპერიტიზის ჩატარება.

გასაგებია ის გარემოება, რომ მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და ეს ასეც არის. კანონი ზუსტად განსაზღვრავს ასეთი მოქმედების ჩატარების დროსა და ხანგრძლივობას, იმასაც რომ ასეთი ქმედებების გარეშე მიღებული ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ჩაითალოს მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები. კერძოდ, ის რომ შესაძლებელია მათი ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს ან როდესაც ჩვენება საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებს ეწინააღმდეგება. საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს ასეთ შემთხვევებში მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხი, როდესაც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიცემული ჩვენებები ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგება? აი აქ უკვე იჩენს თავს მათი დასაშვებობის პრობლემები კერძოდ; ის რომ რთულია მათი ხელმეორედ დაკითვის შემთხვევაშიც კი გაირკვეს სიმართლე რომელი ტყუის და რომელი ამბობს სიმართლეს, რადგან ხშირად მათი ჩვენებები დაუსაბუთებელია.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი პრობლემა დღეს რაც არსებობს ამ მიმართულებით არის სსსკ-ის იმ 314-ე მუხლის გაუქმება, რომელიც 1998 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით არსებობდა. იგი ითვალისწინებდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გადამოწმების საკმაოდ ეფექტიან და საიმედო საშუალებას. კერძოდ, დაპირისპირებისას ერთდროულად იკითებოდა ის ორი პირი, რომელთა ჩვენებს შორის არსებითი წინააღმდეგობა იყო. ამ დაპირისპირების მიზანი ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობის მიზეზების გარკვევა და მათი აღმოფხვრა იყო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა მოწმის ჩვენების უტყუარობას და მის სანდოობას. ორი პირის დაპირისპირებით ერთი ჩვენების უტყუარობის და მეორე ჩვენებაში მოყვანილი არგუმენტების მცდარობის დადგენა შესაძლებელი. გარდა ამისა, ამ მუხლის გაუქმებამ დაცვის მხარე კიდევ უფრო შეზღუდა, რადგან ბრალდებულს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაპირისპირება იმ პირს შორის, რომელიც მას ბრალს დებს. ამ უფლებაზე უარის თქმა გაუმართლებელია. ბრალდებულის ამ უფლებას ითვალისწინებს, როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების კანონმდებლობები.

ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის არსებული მუხლი ისევე დაემატოს კანონმდებლობას, რადგან ის ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს საქმის გარემოებების სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ დადგენას. იგი

საკმაოდ ეფექტიანად წყვეტს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებათა არსებობის დროს წამოჭრილ მტკიცებულების მისაღებობის საკითხს.

არანაკლებ პრობლემურია საკითხი ანონიმური მოწმის ჩვენების მტკიცებულებად დაშვებასა და ასევე მოწმის დაცვის აუცილებლობის შესახებ. როდესაც ჩვენებას იძლევა მოწმე ანონიმურ ცნობებზე დაყრდნობით, ის არ შეიძლება საქმეზე იქნეს დასაშვებული. იგი მხოლოდ მაშინ დაერთვება საქმეს, როგორც მტკიცებულება, როდესაც დადგენილი იქნება მისი ვინაობა. ეს შეჯიბრებითი პროცესის აუცილებელი მოთხოვნაა. ვინაობის მონაცემები დაკითხვის ოქმში უნდა დაფიქსირდეს რაც დაცვის მხარეს მიცემს შესაძლებლობას, მტკიცებულების შესახებ ფლობდეს ინფორმაციას და ამ ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა ჰქონდეს.

რაც შეეხება მოწმის დაცვას, უნდა ითქვას, რომ მოწმის დაცვა დანაშაულის თავის ასარიდებლად აუცილებელია. ხშირად მოწმე იმიტომ არ აძლევს სწორ ჩვენებას ან საერთოდ ჩვენებას, რომ შემდგომში ეშინია რამე არ დაემართოს მის ჯანმრთელობას ან ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ამიტომ ხშირად არჩევენ დუმბილს. ჩვენს ქვეყანაში მოწმის დაცვის პროგრამა ძალიან დაბალ საფეხურზეა, რადგან არ ხდება მისი დროული დაცვა, ხშირ შემთხვევაში მოწმის ვინაობა მალევე დგინდება, რამაც შესაძლოა მოწმეს საფრთხე შეუქმნას. მოწმის დაცვის ისეთი სპეციალური ღონისძიებები, როგორებიცაა ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, მისამართის შეცვლა და ა.შ განსაკუთრებულ შემთხვევებში მხოლოდ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში დაკითხვის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული.

ჩვენ ვამბობთ, რომ მოწმის ჩვენება არის მტკიცებულება მაგრამ არის მომენტები, როცა იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ მტკიცებულებად. მაგალითად, დასაშვებ მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს მოწმის ჩვენება, რომელსაც პირადად არ დაუნახავს და აღუქვამს ფაქტები, ანუ წყარო ინფორმაციისა უნდა იყოს პირადად ის და სხვა არავინ, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ ბრალდებული დამნაშავეა ამ მოწმის ჩვენების საფუძველი ვერ გახდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20-ე ნაწილის თანახმად, პირი მოწმის სტატუსს იძენს მხოლოდ და მხოლოდ ფიცის დადებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაფრთხილების შემდეგ. მან შეიძლება დადოს, როგორც რელიგიური ფიცი, ასევე არარელიგიური ფიცი. „ ფიცის დადების ვალდებულებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფიცი გარკვეულწილად ბოჭავს მოწმეს სიცრუისაგან და იგი კეთილსინდისიერად მისცემს სასამართლოში ჩვენებას.“ პროცესში მონაწილე მხარეებისთვის მნიშვნელოვანია

მოწმის პიროვნული მხარე ანუ პირს რამდენად აქვს განვითარებული გადმოცემის უნარი და რამდენად რეალურად აღიქვამს ფაქტებს, რადგან როგორც უკვე ავლინებ დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება. ამიტომ, მოწმის ჩვენება, რომ მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული, პირველ რიგში საჭიროა, შეფასდეს მისი ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რითაც დგინდება ის, თუ რამდენად შეეძლო პირს აღექვა მომხდარი ფაქტი.

მოწმის ჩვენების განხილვის დროს, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დღეს თუ სისხლის სამართლის პროცესი გვაძლევს სრულ ჩამონათაღს იმ პირებისა, რომლებიც არ არიან ვალდებულნი, მისცენ ჩვენება, ძველი სისხლის სამართლის პროცესი მხოლოდ ორ შემთხვევას ითვალისწინებდა, რომლის თანახმადაც არ შეიძლება დაკითხულიყო „დამცველი“ იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის გახდა ცნობილი და ასევე „პირი“ რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმისთვის. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარკვეული სახის პირები არ არიან ვალდებულნი იყვნენ მოწმეები ან გასცენ საქმისადმი მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ესენი არიან : 1) **ადვოკატი**, რომელმაც საქმეზე არსებული ინფორმაცია მიიღო პირისგან, როდესაც იგი იმყოფებოდა მისი დაცვის ქვეშ და ასევე, როდესაც კონსულტაცია გაუწია პირს, სანამ მას დაცვის მიღება დასჭირდებოდა; 2) **სასულიერო პირი**, რომელსაც აქვს უფლება არ გასცეს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც აღსარების შედეგად მიიღო პირისაგან; 3) **ჟურნალისტი**, რომელმაც პროფესიული საქმიანობის დროს მოიპოვა ინფორმაცია, ასევე **ბრალდებულის ახლო ნათესავი**; 5) **სახალხო დამცველი**, რომელსაც გააჩნდეს ფაქტები, როგორც სახალხო დამცველს; 6) **მოსამართლე** იმ გარემოების შესახებ, რაც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა; 7) **პირი**, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლია; 8) **პირი**, რომელიც სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრია; 9) **პირი**, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო ვერ აღიქვამს საქმის გარემოებას და არ შეუძლია ზუსტად გადმოსცეს ინფორმაცია; 10) **პირი**, რომელიც უმაღლესი საბჭოს წევრია ავტონომიურ რესპუბლიკაში და კონკრეტული ინფორმაცია მიიღო, როგორც საბჭოს ევრმა; 11) **პარლამენტის წევრი**, რომელმაც ინფორმაცია მიიღო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

მოწმის სტატუსით შეიძლება ისარგებლონ: პროკურორმა; გამომძიებელმა და მისცენ ჩვენება მათ მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების შესახებ, ასევე ბრალდებულმა, ექსპერტმა, დაზარალებულმა და მასთან ერთად - თარჯიმანმა.

ირიბი ჩვენება გულისხმობს ისეთ ჩვენებას, რომელიც დაფუძნებულია სხვა პირის მიერ გავრცელებულ იმფორმაციაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 76-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე ნაწილის თანახმად იგი დასაშვები მტკიცებულება იქნება იმ შემთხვევაში თუ ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს იმფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და შემოწმება იქნება შესაძლებელი. უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ ეს საკითხი ირიბი ჩვენება დასაშვები იქნება მაშინ თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, ვინაიდან ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომელმაც არსებული ინფორმაცია სხვა ადამიანისგან შეიტყო, ანუ რომელსაც საკუთარი თვალთ არ დაუნახავს და არ მოუსმენია ის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას. შესაბამისად, არსებული ჩვენება შესაძოა შეიცავდეს ხარვეზებს და შუალედურ რგოლებს, ასე რომ რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და მოწმეს შორის, მით უფრო ნაკლებია მოწმის მიერ მიცემული ჩვენების მტკიცებულებითი წონა.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსი ადგენს ორ წინაპირობას :

1. მოწმემ სახელდებით უნდა მიუთითოს პირველი წყარო, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი დაკითხვა;
2. აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რონელიც არარის ირიბი ჩვენება.

ასევე აღსანიშნავია **ექსპერტის დასკვნასთან** დაკავშირებული პრობლემები, რომელიც არსებობს ჩვენს კანონმდებლობაში. ექსპერტიზის შესახებ ფართო ცნობებია ჩვენს კანონმდებლობაში, თუმცა თითქმის არაფერი ნახსენები ექსპერტის დასკვნის შესახებ. ექსპერტის დასკვნა არის მცოდნე პირის წერილობითი ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ, რომელთაც სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. ექსპერტის კომპეტენციაა გამოარკვიოს თუ რომელი იარაღით იქნა ადამიანი მოკლული ან რა ხარისხის ჭრილობაა, ანუ ამით იმის თქმა მინდა რომ იგი სამართლებრივ პროცესებში არ უნდა მონაწილეობდეს. თუ ის თავის დასკვნაში სამართლებრივ მხარეს ეხება ის დასკვნა მტკიცებულებად ვერ იქნება დაშვებული.

სამწუხაროა, რომ დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარება პროცესის მწარმოებელი ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებაა და არა სავალდებულო. ამიტომ კარგი იქნება კანონში არსებობდეს დათქმა, რომ თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭიროა სპეციალური ცოდნა, ექსპერტიზის ჩატარება ყველა შემთხვევაში სავალდებულო იყოს. დრეის მდგომარეობით პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეუძლია ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებად გამოყენებაზე უარი განაცხადოს და მაშინ ექსპერტიზის ჩატარება რატო უნდა იყოს სავალდებულო თუ მისი დასკვნა არ იქნება სავალდებულო.

ნივთიერი მტკიცებულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-3-ე მუხლის 25-ე ნაწილის მიხედვით, ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტი შეიძლება იყოს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ესენი შეიძლება იყოს თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი, სიგარეტის ნამწვავი, სისხლის კვალი, საბურავების კვალი, დოკუმენტები, ამონაწერები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები და ა.შ. ამავე კოდექსის 77-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის მიხედვით, საქმის არსებითი განხილვის დროს, მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობა ანუ ნამდვილობა დასტურდება. იმისათვის რომ, ნივთიერმა მტკიცებულებამ შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი, პირველ რიგში, ის უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ მოთხოვნებს მის ამოღება-დამაგრებასთან დაკავშირებით. მასში იგულისხმება კონკრეტული საპროცესო გზით მოპოვება, მტკიცებულების ნამდვილობა და ამ ინფორმაციის მატარებლის მოპოვება, კონკრეტული საპროცესო გზით.

აგრეთვე, ამავე კოდექსის 77_მუხლის მე-2-ე ნაწილი გულისხმობს, რომ ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, მისი დათვალიერების და საქმეზე დართის ფაქტის ასახვა საპროცესო დოკუმენტში, წარმოადგენს ამ ნივთიერების დასაშვებობის წინაპირობას, ხოლო ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის და დამაგრების წესის

დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს მის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან შექმნის დაუძლეველ ექვს მისი წარმომავლობის კანონიერებაში. მაგალითისთვის განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: თუ დაზარალებულის და ბრალდებულის ტანსაცმელი არ იყოს ჯეროვნად ამოღებული და დალუქული ჩხრეკა-ამოღებისას, მაშინ ერთმანეთზე დადებით მათზე გადასული მიკრონაწილაკები არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დაზარალებულის ან ბრალდებულის ფიზიკური კონტაქტის არსებობის მტკიცებულებად.

ავთენტურობის მოთხოვნას საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლი უკავშირებს საქმის არსებით განხილვას. შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე არ გამოირიცხება იმ მტკიცებულების გამოყენება, რომლის ავთენტურობაც სადავოა.

დოკუმენტი ნივთიერი მკიცებულებისგან განსხვავდება იმით, რომ იგი გამოირჩევა არა ნიშან-თვისებებით, არამედ თავად მისი შინაარსით. ასევე დოკუმენტად შეიძლება ჩაითალოს ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერად, ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. 78-ე მუხლი კი არეგულირებს, თუ როდის აქვს დოკუმენტს მტკიცებულების ძალა. დოკუმენტს მაშინ აქვს მტკიცებულებითი ძალა, როცა ცნობილია მისი წარმომავლობა და მაშინ, როცა ის ავთენტურია. დოკუმენტი დასაშვები მტკიცებულებაა თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა ან შექმნა იგი და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. ანუ დოკუმენტს მტკიცებულების ძალა მაშინ ენიჭება, როცა ცნობილია მისი წარმომავლობა, როცა ავთენტურია და როცა შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელმაც შექმნა იგი.

დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შემდგენელი პირი, მასში ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველი და სხვა გარემოებები, რომელიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე.

დოკუმენტის ავთენტურობა ნიშნავს, რომ დოკუმენტი ნამდვილია და არ არის სახეშეცვლილი, რომ მასზე აღნიშნული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს. არსებობს შემთხვევები, როცა მხარე არ ხდის ხელმოწერის ნამდვილობას სადავოდ მაგრამ ის სადავოდ შეიძლება ხდიდეს დოკუმენტის ტექსტუალურ ნაწილს და მიუთითებდეს, რომ ის გაყალბებულია (ანუ თუ მასში მოგვიანებით ჩაამატეს გარკვეული ტექსტი, რომელიც ხელმოწერის მომენტისთვის არც კი არსებობდა). ოფიციალური დოკუმენტი ავთენტურია მაშინ, როცა შეიცავს

შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისთვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მაგ: მითითებას გამცენი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს სარეგისტრაციო ნომერს და ა.შ.

პრეიუდიცია აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს ისეთ გარემოებებს და ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, მას პრეიუდიცია ეწოდება. თვითონ სიტყვა „Praeiudicium” ლათინური სიტყვაა და ქართულად „წინასწარ გადაწყვეტილს“ ნიშნავს.³ წინასწარ გადაწყვეტილი ანუ პრეიუდიცია საპროცესო კოდექსის საფუძველზე არის: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; განაჩენი ნასამართლეობაზე; ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც დადგენილია სხვა სისხლის სამართლის საქმის განაჩენით, თუმცა მასში ეჭვი არ უნდა შეჰქონდეს არცერთ მხარეს, ასევე ის გარემოებები, რომლებზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

საყოველთაოდ ცნობილ ფაქტში იგულისხმება ისეთი მოვლენები, რომელიც ყველასათვის ცნობილია, ეს შეიძლება იყოს როგორც ისტორიული მოვლენები, ასევე ბუნებრივი. უნდა ითქვას, რომ ასეთი მოვლენები არ საჭიროებს მტკიცებას, რადგან ისი ისედაც ყველასათვის ცნობილია და ფაქტია. მაგალითად; 1989 წელს საქართველოში ტრაგედია დატრიალდა, რომელიც ცნობილია როგორც 9 აპრილია ტრაგედია, რაც გამოიხატასაბჭოთა არმიის მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, რომელსაც შეეწირა 21 ადამიანი და დაშავდა 427. ამ ფაქტს არ ჭირდება მტკიცება, რადგან ეს მოვლენა მასშტაბური იყო და მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. სწორედ ამიტომ, როდესაც ვამბობთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს მას მტკიცება აღარ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა პროცესის დროს მხარეს აქვს უფლება სადავო გახადოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ეს ხდება 2 გარემოების არსებობის შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება არარი ზუსტი და მაშინ, როცა ეს გარემოება არარის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები იყოფა 2 სახედ ; ესენია უნივერსალური და ლოკალური. უნივერსალურს მიეკუთნება ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომელიც ცნობილია ყველასთვის, ხოლო ლოკალური მხოლოდ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზეა საყოველთაოდ ცნობილი; ანუ მათ შორის განსხვავება მხოლოდ მოვლენების გავრცელების არეალია. მსგავსად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისა, განაჩენი ნასამართლეობაზე წარმოადგენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი, 2019, გვ. 21

2. ქ. ჩომახაშვილი, თ. თ. თომაშვილი, გ. ძეზნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2016, გვ.21

3. იქვე; გვ. 22; 24; 25;

თავი II. მტკიცებულებების მოპოვება და საპროცესო დამაგრება

რაც შეეხება მტკიცებულებების მოპოვებას და მის საპროცესო დამაგრებას სისხლის სამართლის პროცესში იგი განპირობებულია მხარეთა თანასწორობითა და შეჯიბრებითობის პრონციპით, რომლის საფუძველზეც მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა (დამაგრება) მხარეთა პრეროგატივაა და ამ პროცესში სასამართლო არ უნდა ჩაერიოს. შემეცნებისა და მტკიცების მეცნიერული ანალიზის შედეგად პროცესში შეიძლება სამი მიმართულება გამოვყოს: 1; შემეცნება; 2; დადასტურება; 3; დასაბუტება. შემეცნების ეტაპზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება ხდება. ამის შემდეგ აუცილებელია ინფორმაციის საპროცესო დამაგრება, შესაბამის საპროცესო დოკუმენტში ასახვა და ყველა შესაძლო ადრესატის დარწმუნება მათთვის მიწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში. მტკიცების პროცესის ასეთი ხასიათი იმთავითვე გულისხმობს, რომ სათანადო ფორმის გარეშე ამ საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია.

შეუძლებელია არ ავლნიშნოთ **საპროცესო ფორმის დაცვის აუცილებლობა მტკიცების პროცესში**. ჯერ კიდევ ძველ რომში აღიარებდნენ, რომ თუ ფორმა არ არის დაცული კეთდება დასკვნა, რომ საბუთი ბათილია. ეს მოსაზრება ლოგიკური და მართლებულია და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც სამართლებრივ სფეროში რაიმეს დასადასტურებლად გამოიყენება, შესაბამისი სამართლებრივი ფორმა უნდა ჰქონდეს ეს თანამედროვე სამართლისთვისაც აუცილებელი პირობაა, რადგან სახელწიფო საქმიანობა საზოგადოებრივისაგან სწორედ ამით განსხვავდება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებული კანონმდებლობით საპროცესო ფორმები (იქნება ეს მტკიცებულებათა მოპოვება თუ საქმეზე მათი დამაგრება) დეტალურადაა განსაზღვრული, რადგან საპროცესო ფორმის დაცვა ინფორმაციის ნამდვილობის გარანტიაა. ამ კუთხით ჩვენმა ქვეყანამ სწორი გზა აირჩია.

საპროცესო ფორმა იმ წესების ერთობლიობაა, რომელიც საქმეს შინაარსობრივად მნიშვნელოვან ინფორმაციას სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ თუ ინფორმაცია რაიმე ფაქტს ადასტურებს, რატომ უნდა დაიკარგოს დრო მისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიებაზე? ნუ ეს ერთი მხრივ სწორი მოსაზრებაა მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საპროცესო ფორმის დაცვით

მოპოვებული ინფორმაცია, მოსამართლეს საშუალებას აძლევს, საკუთარი გადაწყვეტილება არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური კუთხითაც გაამყაროს. ასევე იმიტომაც საპროცესო ნორმის დაცვა მნიშვნელოვანი, რომ აუცილებელია სახელწმიფო ორგანოები მარალი ნდობის ხარისხით იყვენ აღჭურვილები, ეს იმას ნიშნავს რომ კანონის შესაბამისად უნდა იქნეს ყველა სამე გამოძიებული, რადგან სამართალდამცავი ორგანოების და საზოგადოების დამაკავშირებელი რგონი სწორედ კანონია. თუ სამართალდამცავ ორგანოებში კანონის დაცვის სისუტეები შეინიშნება, რათქამაუნდა ეს საზოგადოების ნდობაზეც იმოქმედებს. მიუხედავად ამისა, ამ საკითხთან მიმართებით ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს, ერთის მიხედვით დრო არა საპროცესო ფორმაზე არამედ მის შინაარსზე უნდა გამოიყენებოდეს, მეორე მიდგომა კი ამ აზრს ეწინააღმდეგება.

გასათვალისიწნებელია ის ფაქტი, რომ ხშირად საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება კანონის მოთხოვნების დარღვევით ხდება. ზოგიერთ ადამიანს კანონით დადგენილი წესი მოსაბეზრებელ ფორმალობად მიაჩნია. არაერთ თანამშრომელს სამართლებრივ სივრცეში, ჰგონია, რომ დანაშაულის გახსნას და დამნაშავის გამოვლენას განაპირობებს მტკიცებულებების მოპოვების თავისუფალი ფორმა. ეს უფრო ანგლო-ამერიკული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად ინგლისში არ არსებობს წინასასამართლო განხილვის სტადია და მტკიცებულებების განხილვა სასამართლო ში ხდება. მიუხედავად ამისა, აზრთა სხვადასხვაობა იქაც იყო ამ საკითხზე მაგალიტად მაშინ, როცა 1955 წელს ლორდთა პალატამ მტკიცებულების მოპოვებისას საპროცესო წესის დაცვასტან დაკავსირებით განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რომლის თანახმადაც სასამართლო უფლებამოსილია უარყოს მტკიცებულება თუ მიიჩნევს, რომ ის დაცვის მხარის მიმართ უსამართლო მეთოდებით იქნა მოპოვებული. რაც შეეხება საფრანგეთს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მტკიცებულებად ნებისმიერი იმფორმაცია დაიშვება, სულაც არ ნიშნავს ეს იმას, რომ ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერი საშუალებით შეიძლება, რადგან მტკიცებულებათა მოპოვება მკაცრად არის დადგენილი. რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ დანაშაულის დევნა ყველა საშუალებითაა მისაღები, მოსამართლის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები არ უნდა ლახავდეს პრცედურულ წესებს და დაცვის უფლებებს. მაგალითად; ამერიკასა და ინგლისში კატეგორიულადაა მიუღებელი მოწმის ჩვენება, რომელიც არ მომდინარეობას პირველი წყაროდან და სწორედ ამას ვგულისხმობდი მოწმის ჩვენების განხილის დროს, როცა ვამბობ რომ მოწმის ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მაგრამ დაუშვებელია მაშინ როცა ირიბი ჩვენების საფუძველზეა წარმოდგენილი. ამ დროს სასამართლოს წინაშე არ არის პირველადი წყარო, ამ შემთვევაში დაცვას არ აქვს ინფორმაციის მართებულობის გადამოწმების შესაძლებლობა და ირღვევა ბრალდებულის უფლება, რომ პირირსპირ შეხვდეს მოწმეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ მთლიანად თავისუფალი მტკიცების პროცესი არც ამ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ამავდროულად გაუმართლებელია სამართლებრივი რეგულირების გარეშე მტკიცებულებების

მოპოვება, რაც დიდი საფრთხეს უქმნის სამართლიანობის პრინციპს, რადგან საპროცესო ფორმის დაცვის მოთხოვნა გარანტიანაა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვისთვის, რომ გამოვლინდეს საქმის გარემოებების უტყუარობა და გაიხსნას დანაშაული.

თუ დავაკვირდებით უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ვნახავთ, რომ მის განჩინებებში აქცენტი სწორედ საპროცესო ფორმის დაცვაზე კეთდება. მაგალითად; სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და ყველა საჭირო წესის დაცვით, რომ არ ადგილი არ ჰქონდა არსებით დარღვევებს, რომელიც იმოქმედებდა სამართალწარმოების შედეგებზე და ა.შ. არსებით დარღვევებში შეიძლება იგულისხმებოდეს ისეთი მექანიკური შეცდომები, როგორებიცაა დოკუმენტზე სათაურის ან თარიღის არასწორად აღნიშვნა, პროცესის მონაწილის სახელის არასწორად მითითება, ამის გამო დაცვის მხარე სუამდგომლობით ხშირად მიმართავს სასამართლოს მტკიცებულების დაუშვებლობის მოტივით მაგრამ ეს ყოველივე გაუმართლდებლად შეიძლება ჩაითვალოს. არ შეიძლება მექანიკური შეცდომის გამო, რომელიც არ მოქმედებს სამართალწარმოების შედეგზე, მტკიცებულება დაუშვებლად იქნეს ცნობილი, თუმცა მკაცრად აუცილებელია ამ ფორმის ზუსტად დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი გაუგებრობები.

ამ თემის განხილვის დრო მნიშვნელოვანია გამოვყოთ 2 აუცილებელი, სისხლის სამართლებრივ პროცესთან მჭიდროდ დაკავშირებული სტადია; ესენია; **წინასწარი გამოძიება და საქმის სასამართლოში განხილვა.** მოგეხსენებათ, რომ ისტორიულად სისხლის სამართლის პროცესი ჯერ კიდევ მე-13 საუკუნემდე იცნობდა ამ ორ სტადიას. ივანე ჯავახიშვილი თავის თხზულებებში წერს; გასამართლებას „გამოძიებაი“ უძღოდა წინ, ანუ ჯერ მსაჯულს საქმის უტყუარი ვიტარება უნდა გამოერკვია და შემდგომ ეწეოდა „ძალი საქმისაი“. ექვთიმე მთაწმინდელს თავისი მართლმსაჯულებითი მოღვაწეობის დროს, როდესაც რაიმე შფოთი ან სხვა დანაშაული მოხდებოდა, წესად ჰქონდა, რომ ჯერ „ცნოს ძალი მის საქმისაი ძმათაგან“, რომელიც ამ დატრიალებული საქმის თვითმხილველი მოწმენი იყვნენ, ხოლო შემდეგ დამნაშავეთა გასამართლებას შეუდგებოდა ხოლმე. ყოველი „შესმენაი“ და ბრალდება შემოწმებული და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო, ამისთვის კი საჭირო იყო ბრალდებისა და შესმენის სისწორისა და საფუძვლიანობის „გამოძიებაი“. ცილის ან ბრალის დამწამებელს ევალებოდა თავისი ბრალდების „გამოჩინებაი“. ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების როლს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. საქმის სასამართლოში განხილვის წინაპირობა საქმის გარემოებების უტყუარი დადგენა იყო, სხვაგვარად საქმეს „ძალი საქმისაი“ არ ეწეოდა. წარმოიდგინეთ რამხელა პროგრესია ეს არგუმენტი თანამედროვე სამართალწარმოებაში. დღეის მდგომარეობით საქართველოში უნდა ვაღიაროთ, რომ შერეული ტიპის პროცესი არსებობს და დაცვის საგანი არ უნდა იყოს ის, რომ საპროცესო ფორმის დაცვა აუცილებელია, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე, რასაც ვერ ვიტყვით

გერმანიის მაგალითზე, რადგან იქ მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიაზე მტკიცების ფორმის დაცვა მკაცრად რეგლამენტირებული.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, გერმანიის მაგალითს ვერ დავეთანხმები, რადგან სწორედ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი იმფორმაციის მოპოვება, შეკრება და საპროცესო დამაგრება. წინასწარი გამოძიება წინ უსწრებს საქმის სასამართლოში განხილვას. უფრო კარგად რომ განვმარტო პირი წინასწარი გამოძიების ეტაპზე უკვე ბრალდებულად ითვლება. დაუსაბუთებელი და არასაიმედო ინფორმაციის საფუძველზე კი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის დადგენამდე პირი უდანაშაულოდ ითვლება, მასზე ეჭვიმტანილის სტატუსიც კი დიდ დამლას ტოვებს. ძალიან ძნელია უდანაშაულო ადამიანის რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მისი სრულფასოვანი სახით დაბრუნება, რადგან მასზე ბრალდების წნეხია. აქედან გამომდინარე ეს კიდევ ნათელი მაგალითია, რომ წინასწარ გამოძიებას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სტადიას, მეტად საპასუხისმგებლო მისი აკისრია. ეს არ არის სასამართლოსთვის ინფორმაციის უბრალო შეკრების ეტაპი. ესარი საქმეზე ობიექტური ინფორმაციის ეტაპი, რომლის ლოგიკური გაგრძელება უნდა იყოს სასამართლო განხილვა, სამართლიანი განაჩენის გამოტანა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. სწორედ ამიტომ წინასწარი გამოძიების ეტაპზეც მტკიცებულების შეგროვება და ბრალდების ფორმულირება საპროცესო წესის დაცვით უნდა განხორციელდეს; სასამართლოსთვის გადაცემული სისხლის სამართლის საქმე კი დასაბუთებულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

საპროცესო ფორმის დარღვევის შემთხვევაში სისხლის სამართლის სამქეზე გამოტანილი უკანონო განაჩენი აუცილებლად უნდა გაუქმდეს. თუ სასამართლო გამოძიებო სრულყოფილად და კანონიერად არ იქნება ჩატარებული, დაუშვებელია სასამართლოს განაჩენს იურიდიული ძალა მიენიჭოს. ასეთი განაჩენი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ხელახალ განხილვას. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 27 აპრილის განჩინებით დამატებით გამოძიებაში დააბრუნა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის განაჩენი იმ მოტივით, რომ ის არ ემყარებოდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენის სამოტივაციო ნაწილსი მითითებულია, რომ საქართველოს სსსკ-ის მე -503 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვალ არ შეიძლება დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუზველზე. ასევე აღნიშნულია ისიც, რომ საქმის გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი და ერთნაირი გულმდგინებით უნდა გაირკვეს მსჯავრდებულის როგორც გამამართლებელი ასევე გამამტყუნებელი გარემოებანი. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სსსკ-ის დაცვით, შესაბამისად,

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რო ყველა აღნიშნული მოთხოვნა დარღვეულია და საჭიროდ ჩათვალა ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარება. ეს აბსოლიტურად გამამართლებელი გზაა დაშვებული უხესი დარღვევების აღმოსაფხვრელად და სამეზუე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

უნდა ვთქვათ, რომ მართალია მტკიცებულებების მოპოვება გამოძიების სტადიაზე ხდება, მაგრამ კოდექსი არ გამორიცხავს მის დართვას არც არსებითი და არც სააპელაციო განხილვის დროს, რა თქმა უნდა ეს გამონაკლისია და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე დაადასტურებს, რომ მტკიცებულება კი არ დამალა რათა მეორე მხარე მოულოდნელად და მოუმზადებლად შეხვედროდა მას, არამედ, გამოძიებისას ამ მტკიცებულების მოპოვება ფიზიკურად შეუძლებელი იყო (მაგალითად, როცა მოწმე გამოვიდა კომიდან ან გადამალული იარაღი სხვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას იქნა აღმოჩენილი და ა.შ. შესაძლებელია ამგვარი მტკიცებულებები საქმის მსვლელობის პროცესში გამოჩნდეს, მაგრამ აქ უპირატესია ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი, ის რაც სააღბათოა, ყველაფერი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.

-
1. ჩომახავილი ქ, თომაშვილი თ, ძებნაური გ, ოსეფაშვილი ს, პატარიძე მ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2016, გვ. 12.
 2. ია ჩხეიძის, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში გვ. 30-38.

საგამოძიებო მოქმედებების დახასიათება

თავდაპირველად განვიხილავ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზოგად წესს თუ როგორ ხდება იგი, რადგან უფრო თვალსაჩინო გახდეს მისი დახასიათება. დავიწყებ იმით, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს მხარეებს ნაწილობრივ თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილი წესით. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაწყებამდე,

ჩამტარებელმა პირმა მონაწილეებს უნდა განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობები და წესები, იგი ვალდებულია განახორციელოს მონაწილეთა უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაუშვებელია ღამით, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, რომელიც გონივრულ ვადაში უნდა ჩატარდეს. აღსანიშნავია ასევე ის, რომ თუ საგამოძიებო მოქმედებას განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება, მხარე მას ატარებს ექსპერტთან ერთად (ანუ თუ საგამოძიებო მოქმედება მოითხოვს გაშიშვლებას, ამ შემთხვევაში მხარე და ექსპერტი უნდა იყოს იმ სქესის, რომელიც არის შესამოწმებელი პირი. აუცილებელად უნდა ავლნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის პროცესის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სტანდარტია დასაბუთებული ვარაუდი. შესაბამისად მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისას დაასაბუთოს აღნიშნული სტანდარტის არსებობა. სასამართლოს კი, თავის მხრივ, ვალდებულია შეამოწმოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. ეს საკითხი ეხება, როგორც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის, ისე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის განხილვას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ეს სტანდარტი გულისხმობს, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაზე ან/და გარკვეულ ადგილზე მტკიცებულებების არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად; ჩხრეკის შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულებათ ერთობლიობას, რომელიც ამა თუ იმ ადგილზე ძეხნის საჭიროებაზე მიუთითებს. არსებობს საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც სასამართლოს განჩინების გარეშე შეუძლია ჩაატაროს გამომძიებელმა - ეს საგამოძიებო მოქმედებებია ის, რომელიც არ არის დაკავშირებული კერძო საკუთრების, მფლობელობის ან და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან და საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ ხსენებული ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან, თუმცა ერთი მხარე თანხმობას აცხადებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანუ საკუთარი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვაზე. პირველი შემთხვევის მაგალითზე რომ ვთქვათ ეს იგულისხმება მაშინ, როცა საგამოძიებო მოქმედება ხდება ქუჩაში ან ისეთ ადგილას, სადაც არარის კერძო საკუთრება, ხოლო მეორე მაშინ, როცა ხდება პირადი ჩხრეკა და გასაჩხრეკი პირი თანხმობას აცხადებს მისგან მტკიცებულების ამოღებაზე.

სისხლის სამართლის პროცესით განთვალისწინებული გვაქვს 2 ძირითადი საგამომიებო მოქმედებები: ღია საგამომიებო მოქმედებები და ფარული საგამომიებო მოქმედებები ¹

ღია საგამომიებო მოქმედებებს მიეკუთვნება:

1) ჩხრეკა; 2) ამოღება; 3) დათვალიერება; 4) გამოკითხვა; 5) გამოძიების დროს მოწმის დაკითხვა; 6) საგამომიებო ექსპერიმენტი; 7) პირის ან ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა; 8) საბანკო ანგარიშების მონიტორინგი; 9) ექსპუმაცია; 10) დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა (136-ე მუხლი); 11) ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება (137-ე მუხლი); 12) შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება (138-ე მუხლი). მოკლედ დავახასიათებ თითოეულ მადგანს; სსსკ-ის 119-ე მუხლი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზნებსა და საფუძვლებს. ორივე საგამომიებო მოქმედების მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება, რომელიც შემდგომში მტკიცებულების სახით იქნება წარმოდგენილი, თუმცა განსხვავებულია მათი ჩატარების საფუძვლები. კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი საქმისათვის მნიშველოვანი მტკიცებულებითი ხასიათის და მნიშვნელობის საგანი/ ან ობიექტი შეიძლება მოპოვებული იქნეს საგამომიებო მოქმედების - ამოღების ჩატარების გზით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. მაგალითად; თუ გამომძიებლისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტის დედანი ინახება კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ პირთან, გამომძიებელმა უნდა განახორციელოს ამოღება. ჩხრეკის შემთვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი ან ნივთიერება ინახება გარკვეულ ადგილზე და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა მაშინ გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს ჩხრეკა. მაგალითად; თუ გამომძიებელმა იცის, რომ x ადამიანს საცხოვრებელ ბინაში შენახული აქვს უკანონოდ ცეცხლსასროლი იარაღი მაგრამ მისთვის კონკრეტული შენახვის ადგილი უცნობია, გამომძიებელი იღებს ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილებას. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, ამოღებისა და ჩხრეკის განმასხვავებელ ნიშანს საგამომიებო მოქმედების ნებაყოფლობითი ხასიათი წარმოადგენდა. კერძოდ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონდე ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემის შემთვევაში, გამომძიებელს უნდა

ჩატარებინა ამოღება, ხოლო ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემის შემთხვევაში ჩხრეკა. ამოღებისა და ჩრეკის ჩატარების დროს აუცილებელია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებელი ვალდებულია დადგენილება გააცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. დადგენილების არსებობას და გაცნობას პირი ადასტურებს ხელმოწერით. თუ პირი ამოსაღებ საგანს ან ობიექტს ნებაყოფლობით გადასცემს გამომძიებელს ეს ფაქტი აღინიშნება ოქმში, ხოლო თუ ეს ასე არ ხდება გამომძიებელი მიმართავს იძულებით ღონისძიებას.

ასევე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ **გადაუდებელი აუცილებლობით** ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებებზე, რომლის მიზანიც არის მტკიცებულებების გადამალვისგან ან პირის მიმალვისგან საშიშროების აღმოფხვრა მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომელიც წლების განმავლობაში ამ საკითხთან მიმართებაში არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა კერძოდ მინდა ვისაუბრო გადაუდებელი აუცილებლობით საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებებზე. მაგალითისთვის 2012 წლის 22 ივნისამდე სსსკ-ი გადაუდებელი აუცილებლობით საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას, (ანუ მოსამართლის განჩინების გარეშე მისი ჩატარებისას) გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის აუცილებლობას ითვალისწინებდა. ის ეხებოდა, როგორც ჩხრეკა-ამოღებას, ასევე ნებისმიერ საგამომძიებო მოქმედებას. ხოლო ამავე დღეს სისხლის სამართლის პროცესში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც გაუქმდა ზემოთ აღნიშნული ნორმის ვალდებულება. კერძოდ, სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან, 120-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილებიდან, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებული იქნა სიტყვა „დადგენილება“, თუმცა 120-ე მუხლის სხვა ნაწილებში ეს სიტყვა დარჩა. აღნიშნულმა გამოიწვია ნორმის არაერთგვაროვანი განმარტება. ერთი განმარტების თანახმად გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების დროს აუცილებელი იყო დადგენილების გამოტანა, ხოლო მეორე განმარტების მიხედვით არა. შესაბამისად არაერთგვაროვანად ჩამოყალიბდა საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკაც. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის შემთხვევები, სადაც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედება დადგენილების გარეშე ჩატარდა, ვერ იქნება მიჩნეული სსსკ-ის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებულად, ვინაიდან დადგენილებასთან დაკავშირებით 2012 წლის 22 ივნისს სსსკ-ში ცვლილების განხორციელების დროს კანონმდებლის მიზანი საგამომძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლის მოწესობა არ ყოფილა. ამიტომ კანონმდებელს საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებისთვის საგამომძიებო მოქმედების მიზნის,

საფუძვლის და შედეგების განმარტების ვალდებულება არ წაურთმევია, რადგან იგი შუამდგომლობით მიიღწეოდა. 2015 წლის 19 თებერვალს 120-ე მუხლში კვლავ განხორციელდა ცვლილება, სასამართლოში კვლავ არაერთგვაროვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა, კერძოდ პირველი ინსტაციის სასამართლოთა გარკვეულმა ნაწილმა დადგენილების გამოტანა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების (გარდა დაკავების დროს პირადი ჩხრეკისა) კანონიერად ჩათვალა.

გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხი ასე გამოიყურება. კერძოდ, სსსკ-ს მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. იგი სასამართლოს მიმართავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან გამოძიების ადგილის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამგვარ რეულაციას არ ითვალისწინებდა 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი, რომლის თანახმად, პროკურორი ვალდებული იყო საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. ამგვარი წესი ქმნიდა უამრავ პრაქტიკულ პრობლემას. კერძოდ, ერთი მხრივ, სასამართლოსთვის უნდა მიემართა შუამდგომლობით გამომძიებლის უშუალო საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, ხოლო, მეორე მხრივ, შუამდგომლობა აუცილებლად უნდა შესულიყო სასამართლოში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით. მაგალითად, თუ თბილისის სამართველოს გამომძიებელი გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკას ხაშურში ჩატარებდა, თბილისის შს სამმართველოს საპროცესო ხელმძღვანელს შუამდგომლობით უნდა მიემართა ხაშურის რაიონული სასამართლოსთვის, რაც დროის 24 საათიან ინტერვალში დიდ პრაქტიკულ სირთულეს ქმნიდა. მოქმედ სსსკ-ში ამგვარ პრობლემას არარ ვაწყდებით, რადგან ახლა პროკურორი უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს, როგორც ხაშურის რაიონულ სასამართლოს (საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით), ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს (გამომძიებლის ადგილის მიხედვით). საინტერესოა, რას ამოწმებს სასამართლო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას? ამის შესახებ სასამართლოს პრაქტიკა განსხვავებულია და არაერთგვაროვანი. კერძოდ, სასამართლოს ამ დროს ამოწმებს როგორც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლის არსებობას, ისე საკითხს, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება და მოხდა

მტკიცებულებების მოპოვება. ამასთან, ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მტკიცებულების ამოღების ფაქტს მაშინ, როცა კანონიერების საკითხის შემოწმებისას შესაძლებელია საერთოდ არ იყოს დასრულებული საგამომიებო მოქმედება და შესაბამისად, სასამართლოს არ ჰქონდეს ინფორმაცია მტკიცებულების ამოღების ფაქტის შესახებ. იმის გათალისწინებით, რომ ამ უკანასკნელი მიმართულებით არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, ძნელია პროგნოზის გაკეთება, თუ როგორ მოიქცევა სასამართლო, თუ მას არ წარედგინება საგამომიებო მოქმედების შედეგების ამსახველი ოქმი. ამიტომ ასეთი ოქმის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე ვერ მოხდება კანონიერების დადგენა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მინდა წარმოგიდგინოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის **გადაწყვეტილება**, საქმე **N2კ-609აპ-15**, რომელიც ეხება ჩხრეკის ჩატარებას, გადაუდებელ აუცილებლობას და ერთი მხარის მიერ თანხმობას ჩხრეკის ჩატარების თაობაზე და დასტურია ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა. ფაქტობრივი გარემოებები ასე გამოიყურება; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განაჩენით ზ.მ ცნობილი იქნა დამნაშავედ 1999 წლის სსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი ჯარიმის სახით 2000 ლარი. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა ზ.მ-მ დაუდგენელ გარემოებაში, შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და 8 ვაზნა, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. ეს ცეცხლსასროლი იარაღი ზ.მ-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული იქნა 2014 წლის 12 აგვისტოს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენით, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განაჩენი შეიცვალა და საბოლოოდ, დანასაულტა და განაჩენთა ერთობლიობით განისაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა + 2000 ლარი ჯარიმის სახით. საქმის მასალების შესწავლით ირკვეოდა, რომ ჩხრეკა 2014 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა ზ.მ-ს საცხოვრებელ სახლში, რომლის დროსაც საძინებელ ოთახში აღმოჩენილი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, გამოძიების დაწყებიდან წელსა და 3 თვეზე მეტი ხნის შემდეგ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით და ზ.მ-ს დედის თანხმობით. ასევე საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ჩხრეკის პარალელურად სხვა ქალაქში გამოძიებამ დააკავა ზ.მ, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, მაგრამ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნაპოვნის ვერ იქნა.

სასამართლოს განმარტებით, გამომძიებელმა, როდესაც ის აპირებდა ზ.მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარებას გადაუდებელი აუცილებლობის წესით, მან უკვე იცოდა, რომ ზ.მ სახლში არ იყო, რადგან ის იმყოფებოდა მეთვალყურეობის ქვეშ, რასაც მისი დაკავება ადასტურებს. ეს გარემოებები ლოგიკურად აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმაზე, რეალურად არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩხრეკის ჩატარების საფუძველი. ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებდა ის გარემოება, რომელიც ჩხრეკის ადგილზე მიმდინარეობდა. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა შინ აგრეთვე არ იმყოფებოდა სახლის მეპატრონე, მას შემდგომ დაურეკეს და მოვიდა ადგილზე, სახლში მხოლოდ ზ.მ-ს მოხუცი ბებია იმყოფებოდა. როგორც კი ზ.მ-ს დედა მოვიდა გამომძიებელი შეუდგა თავის საქმიანობას. ეს იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ ფაქტობრივად არ არსებობდა ჩხრეკის ჩატარების საფუძველი გადაუდებელი აუცილებლობის გზით, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ს 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში, თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება სასამართლოს პროკურორმა შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე(ამ საპროცესო მოტხოვნებს ითვალისწინებს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 120 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები, როგორც ავღნიშნე)უნდა მიმართოს. პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს ჩხრეკის კანონიერების შემოწმების თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ, განჩინებით, პროკურორს უარი უთხრა შუამდგომლობის არსებით განხილვაზე, იმ მიზეზით, რომ თითქოს საჭირო აღარ იყო მოქმედების კანონიერების სასამართლოს წესით შემოწმება, რადგან არსებობდა ბინის მესაკუთრის თანხმობა. ამასთან ერთდ გამოსაკვლევი იყო გარემოებები, რომელსაც ჩხრეკის ადგილზე შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. მაგალითად გასათალისწინებელია თანახმობა ჩხრეკაზე იყო თუ არა ნებაყოფლობითი, ხომ არ ჰქონდა ადგილი თანხმობაზე დაყოლიებას ან არასწორი და განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე იყო თუ არა თანხმობის მიცემა გაცნობიერებული და თუ ეს ასე არ იყო შეცვალა თუ არა ტანხმობის მიმცემმა პირმა მისი გადაწყვეტილება საპირისპიროდ და ეს ასახულია თუ არა ოქმში, სწორედ ამას ვგულისმობდი ზემოთ აღნიშნულ წინადადებებში, როცა ვამბობდი თუ როგორ მოიქცევა სასამართლო, თუ მას არ წარედგინება საგამომძიებო მოქმედების შედეგების ამსახველი ოქმი. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია ასეთ დროს და გარკვეული პრობლემებიც შეიძლება გამოიწვიოს, რომელზეც უკვე ვისაუბრე. 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით, დადგენილი იქნა ახალაი სამართალშეფარდებითი პრაქტიკა,

რომლის საფუძველზეც, საერთო სასამართლოებმა, თანხმობის არსებობის პირობებშიც, დაიწყეს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების სავალდებულო წესით შემოწმება. უზენაესმა სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პროკურორს უარი ეთქვა მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობის განხილვაზე, იმ მოტივით, რომ ამგვარი ჩხრეკა კანონიერების შემოწმებას არ საჭიროებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, არავის აქვს უფლება „ადამიანის საცხოვრებელ ან სხვა მფობელობაში“ შევიდეს და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ჩაატაროს ჩხრეკა, თუ სახეზე არ არის შემდეგი პირობები; 1) კანონით გათვალისწინებული საფუძველი; 2) დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა; 3) სასამართლოს გადაწყვეტილება ან მის გარეშე; 4) გადაუდებელი აუცილებლობა. როგორც თავად მე-15 მუხლიდან ირკვევა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა აბსოლიტურ უფლებათა სპექტრს განეკუთვნება და როგორც კონსტიტუციურ უფლებებში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების ელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, დასაშვებია 3 ძირითადი პირობის არსებობისას ესენია: ჩარევა გათვალისწინებული კანონით, ჩარევა თუ აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და თუ ჩრევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ადამიანის თვისუფლების, თვითმყოფადობის და თვითრეალიზაციისთვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.

აღნიშნული ანალიზი მეტყველებს, რომ უზენაესი სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმების სავალდებულოობასთან დაკავშირებით, ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, თუმცა ეს დასკვნა შეგვიძლია დავაფუძნოთ მხოლოდ საკუთარ ვარაუდებს, რადგან გადაწყვეტილების ეს ნაწილი არ აკმაყოფილებს დასაბუთებულების მინიმალურ სტანდარტს და არ შეიცავს მყარარგუმენტაციას, მიუხედავად იმისა, რომ განხილულმა გადაწყვეტილებამ ძირეულად შეცვალა საერთო სასამართლოებში მანამდე არსებული პრაქტიკა.

ასევე მინდა მოვიყვანო ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა ჩხრეკასთან დაკავშირებით. №1276 კონსტიტუციური სარჩელი („გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).¹ ამ სარჩელით გასაჩივრებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ადგენდნენ ჩხრეკის ჩატარების მიზანსა და საფუძველს, ასევე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მტკიცებულებით სტანდარტს. ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ოპერატიული წყაროს (კონფიდენტი/ინფორმანტი) და ანონიმური პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დანაშაულთან ბრძოლაში. საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიწოდებული ინფორმაცია უზრუნველყოფს ისეთ დანაშაულთა სწრაფ გამოვლენას ან პრევენციას, რომელიც ამ ინფორმაციის მიწოდების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამდენად, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის ამ სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოპერატიული წყაროს განსაიდუმლოება, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გადამოწმების მიზნით, ვერ ჩაითვლება საქმეში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის ნაკლებად მზღუდავ საშუალებად. იმ შემთხვევაში, თუ წყაროს არ ექნებოდა კონფიდენციალურობის გარანტია, ის და სხვა პოტენციური პირები თავს შეიკავებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან მომავალში თანამშრომლობისგან, რაც დააზარალებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, ოპერატიული წყაროს და ანონიმური პირის შემთხვევაში არ ხდება/ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ ინფორმაციის პირველწყაროს სანდოობის გადამოწმება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ინფორმაციის სათანადო გადამოწმების გარეშე ჩხრეკის საფუძველად გამოყენების პირობებში, მაღალია ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების არასაჭირო შეზღუდვის რისკი. ამდენად, იმისთვის რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს გაუჩნდეს მოლოდინი ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების შესახებ (რაც ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს), მნიშვნელოვანია მოხდეს ამ ინფორმაციის სათანადოდ გადამოწმება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩხრეკის ჩატარების მიზნებისათვის ინფორმაციის სანდოობა, შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა გარემოებებით. იმისათვის, რომ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული

ინფორმაცია საფუძვლად დაედოს ადამიანის ჩხრეკას, თავად ინფორმაცია უნდა იყოს იმგვარი, რომ შეიძლებოდეს ამ ინფორმაციის სანდოობის გარკვეული ხარისხით გადამოწმება, რათა ობიექტური პირი/მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი საქმისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს ფლობს, შეუძლია კონკრეტულ ფაქტებზე მითითება, ანდა დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული მომავალი მოვლენის აღწერა ან თავად ინფორმაცია ხასიათდება გარკვეული დეტალიზებით. ინფორმაციიდან უნდა იკვეთებოდეს, რომ წყარო ნამდვილად უთითებს ისეთ დეტალებს, რომელიც ადვილად გამოცნობადი/აღქმადი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მესამე პირისთვის და მისი დაკვირვება გარკვეულწილ ძალისხმევას/გამოცდილებას უნდა უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, ინფორმაციის სანდოობა შეიძლება დადასტურდეს, აგრეთვე, პოლიციელის ჩვენებით, რომელიც გაფრთხილებულია ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და რომელიც მიუთითებს, რომ წყარო გამოცდილი და სანდოა, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი სანდოობის ხარისხით გამოირჩეოდა წარსულშიც. ცხადია, გამორიცხული არაა, რომ პოლიციელის მხრიდან საქმისადმი დაინტერესების გამო, მის მიერ მოხდეს ამ ინფორმაციის ფაბრიკაცია, თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთ ფაქტს მოყვება შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეს ამცირებს პოლიციელის მიერ განზრახ არასწორი და ცრუ ინფორმაციის მიწოდების რისკებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩხრეკის შედეგი საფუძვლად დადებია ჩხრეკის კანონიერების დასაბუთებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა, იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩხრეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩხრეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩხრეკის შედეგად სათანადო მტკიცებულების მოპოვების ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის

ჩვენება, სადაც ეს უკანასკნელი სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, გამოყენებული იყო გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძველად.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელ წყაროს - კონფიდენტის/ინფორმანტის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირისთვის არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდოობა და დამაჯერებლობა, რომლის ჩვენებასაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

-
1. <https://www.constcourt.ge/ka/media/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98.html-2>

ფარული საგამოძიებო მოქმედებები

რაც შეეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ცალკე თავად განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები, ჩატარების წესები და მისი ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირები. კერძოდ: საპროცესო კოდექსის 143 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია: ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ან ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტანცია; გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; დ) ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება ხდება. მსგავსი მოქმედებებით მოპოვებული იმფორმაცია ყოველთვის საინტერესოა თავისი მნიშვნელობით მაგრამ არსებობს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ასეთი სახის მოქმედებებიდან მიღებული იმფორმაციის დაშვებას სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც მტკიცებულება. ეს პრობლემები ყველაზე მეტად უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას, რადგან ამ დროს შეიძლება დაირღვეს ისეთი უფლებები, როგორებიცაა პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პატივი და ღირსება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი ის პირია ვისკენაც ეს საქმიანობა მიმართულია, ამ პირმა არც კი იცის, რომ მის მიმართ ხორციელდება მსგავსი მოქმედება. შესაბამისად, ინფორმაციის დამალვის ან განადგურების საფრთხე ნაკლებია.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ვითარდება. შესაბამისად, ვითარდება ის დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ჩადიან დანაშაულებს. ისინი არამარტო ფინანსურად იზრდებიან, არამედ ტექნიკური თვალსაზრისიდაც. რაშიც იგულისხმება კარგი ორგანიზებულობა, კავშირები და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო დანაშაულთან აქტიურ ბრძოლაში იყოს ჩართული. ხშირად საგამოძიებო მოქმედებებით მტკიცებულებათა მოპოვება ვერ ხერხდება, რადგან დანაშაული შეიძლება იმდენად კარგი დაგეგმილი იყოს, რომ შემთხვევის ადგილზე არანაირი კვალი არ იყოს. შესაბამისად გამოძიება ჩიხში შედის. სწორედ ამიტომ არის

მნიშვნელოვანი ფარულ პროცესზე გადასვლა, როგორცაა ფარული ვიდეო/აუდიო ჩაწერა, ფოტოგადაღება ან ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით. ამ და სხვა მოქმედებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფარული საგამომიებო მოქმედება უფრო ახლოსაა დანაშაულის ჩადენის ფაქტთან ვიდრე ღია. ეს რომ ასეა ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ადგენს და ამბობს, რომ საიდუმლო სამსახურები შეიძლება ლეგიტიმურად არსებობდნენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ოღონდ გარკვეული ჩარჩოების დაცვით.

როგორც უკვე ავღნიშნე, ფარული საგამომიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. შესაბამისად ის მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან. თუმცა მისი მტკიცებულებად გამოყენება მაინც პრობლემად რჩება. თუ ეს ასეა რათქმაუნდა ჩნდება კითხვა, თუ ის ასეთი მნიშვნელოვანი მოქმედებაა, რატომ არ უნდა მოხდეს მისი მტკიცებულებად ცნობა? მნიშვნელოვანია ავღნიშნო, რომ თუ ფარული საგამომიებო მოქმედება ჩაერთვება სისხლის სამართლის პროცესში, ეს გამოიწვევს პროცესის მონაწილეთა უფლებების შეზღუდვას. კერძოდ, ბრალდებულის უფლებებს, რადგან მას არ ექნება შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი თავი, დააყენოს შუამდგომლობები, მონაწილეობა მიიღოს საგამომიებო მოქმედებაში და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ ეს ნაწილი პრობლემისა, ხელს უშლის შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან სისხლის სამართლის პროცესი სწორედ მასზეა აგებული, ხოლო ფარული საგამომიებო მოქმედებები კონფიდენციალურობის, ღია და ფარული მეთოდების შერწყმით ხორციელდება. ასეთი სახის საგამომიებო მოქმედება სახელმწიფო საიდუმლოებაა და მისი გამჟღავნება დაუშვებელია. აქვე უნდა ავღნიშნო ისიც რომ დაუშვებელია იმ პირის ვინაობის გამჟღავნებაც ვინც მონაწილეობს ამ პროცესში. რთული წარმოსადგენი არარის ის თუ რა შეიძლება დაემართოს იმ პირს ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა, როდესაც მისი ვინაობა გამჟღავნდება. რათქმაუნდა მას და მის ოჯახს ან გარშემო მყოფ ადამიანებს დიდი საფრთხე შეექმნებათ. არადა იმფორმაციის მტკიცებულებად დაშვებისთვის აუცილებელია ამ იმფორმაციის წყაროს დადგენა, რათა შესაძლებელი იყოს მისი გადამოწმება და უტყუარობის დადგენა. როგორც უკვე ვიცით, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამიტომ ბრალდების საფუძველი არ შეიძლება იყოს მტკიცებულება, რომლის შემოწმებაც შეუძლებელია.

მე ვფიქრობ, რომ ფარული საქმიანობა და სისხლის სამართლის პროცესი ერთი საერთო მიზნის ორი სხვადასხვა გზაა და მათ ერთმანეთისგან განცალკევება არ მოიტანს კარგ შედეგს. პირიქით, მათი სწორი სამართლებრივი რეგულირება და

წარმართვა ამ მიზნის მიღწევის ეფექტიანი საშუალებაა. მაგალითად ისეთ დროს, როცა გამოძიებას არანაირი ხელჩასაჭიდადარ აქვს, სახელმწიფოს უნდა ქონდეს ბერკეტი იმისა რომ დანაშაულის პრევენციული ღონისძიება განხორციელდეს. საინტერესოა, როცა ვმბობთ რომ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებით მოპოვებული მტკიცებულება არ შეიძლება მტკიცებულების სახით დაიშვებოდეს, რა იგულისმება ამაში და როდის შეიძლება ის დაშვებული იქნეს პროცესზე? იგი დაშვებული იქნება მტკიცებულების სახით, როცა მოხდება მისი გარდაქმნა საგამოძიებო მოქმედებად. ანუ ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად შეიძლება საპროცესო ინფორმაციის წყაროს ფორმირება მოხდეს, რის შემდეგაც შეისაძლებელია მტკიცებულებების მოპოვება. შემძლია მოვიყვანო ერთი ასეთი მაგალითი მეტი თვალსაჩინოებისთვის; 2000 წლის 10 მარტს ი. მ-მ მეგობართან ერთად კასპის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს-ს მიერ ჩანერგილ თანამშრომელს უკანონოდ მიჰყიდა 2000 აშშ დოლარის ღირებულების ნარკოტიკური საშუალება. ანუ ამ მაგალითით ვხედავთ, რომ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება მაგრამ ეს მასალა როგორც მტკიცებულება პროცესზე საერთოდ არ იქნა დაშვებული, მან სამართალდამცავებს მიცა საშუალება დაეწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც პროცესუალური მოქმედებაა და მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები დაერთო პროცესს მტკიცებულებად. (მაგ. მოწმის ჩვენებები, ჩხრეკის ოქმი და ა.შ).

კიდევ ერთი დიდი პრობლემა მდგომარეობს დანაშაულის პროვოცირებაში, რადგან არ შეიძლება საჯარო ინტერესს შეეწიროს უდანაშაულო ადამიანი, როდესაც მასზეწაქეზებას, და მოწოდებას აქვს ადგილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც. კერძოდ; Teixeira de Castro v. Portugal, სადაც სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რადგან ბრალდებული მხოლოდ იმის შემდეგ იქცა მსჯავრდებულად, როცა მის მიმართ ჩვენება მისცა პოლიციის საიდუმლო აგენტმა. სწორედ მან მოახდინა მსჯავრდებულის პროვოცირება და წაქეზება, რომ ჩაედინა დანაშაული. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჯარო ინტერესს არ შეუძლია გაამართლოს ისეთი მტკიცებულებების დაშვება, რომლებიც მოპოვებულია დანაშაულის ჩადენის წაქეზების შედეგად. ვფიქრობ ეს მაგალითი საკმარისი იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება სისხლის სამართლის პროცესში ფარული სგამოძიებო მოქმედებების უხეში ჩარევა, რადგან ასეთმა ჩარევამ შესაძლოა მსგავსი ან უარესი შედეგები გამოიწვიოს. ანუ გამოდის, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ძალიან დიდი როლი მიუძღვის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის, უბრალოდ უნდა მოხდეს სამართლებრივად ისეთი რეგულირება, რომელიც საშუალებას არ მიცემს ერთმანეთში არიოს ეს ორი

მოქმედება. ამით იმის თქმა მინდა, რომ მართალია დანაშაულს უფრო მეტად უნდა ებრძოდეს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ შეიზღუდოს სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობების საფუძველზე, განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე ან საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში³ თუ: ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოაღნიშნული დანაშაული; ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური მიზნია მისაღწევად აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება; გ) ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისმეფას საჭიროებს. სსსკ-ით გათვალისწინებულ სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაუშვებელია.

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება აღნიშნული მოქმედება ან გამოძიების

ადგილის მიხედვით გადაუდებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების ცნობის შესახებ. პროკურორმა უნდა დაასაბუთოს შუამდგომლობაში როგორც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების, ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც გამოიწვია ფარული საგამოძიებო მოქმედებების გადაუდებლად ჩატარება მოსამართლის განჩინების გარეშე. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა საგამოძიებო მოქმედება ამ

მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების კატარება გადაუდებლად და განჩინებით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას ან ცნობს კანონიერად მიღებულ შუამდგომლობას ან წყვეტს მის არსებობას და მოითხოვს ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება კანონმდებელმა მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს მიანიჭა, ისიც იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მოსამართლის მიერ განსახილველ საკითხს, ხოლო დაცვის მხარეს ამ ინფორმაციაზე წვდომა მტკიცებულებათა გაცვლისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს ეძლევა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს ლეგიტიმური მიზანი გულისხმობს; **ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას; საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას; უწყსრიგობის თავიდან აცილებას; დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას; ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დაცვას; და სხვა პირთა უფლებებისა და თვების უფლებების დაცვა.** ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება⁴ იმავდროულად სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას ისახავს მიზანდ, თუმცა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს ან თავიდან უნდა იქნეს აცილებული დანაშაული, ვერ გამოდგება სასამართლოს მხრიდან ამგვარი მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად, რადგან მხარემ დამატებით უნდა დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, ანუ სხვა საგამოწიებო მოქმედების ჩატარების გზით მტკიცებულებების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროკურორის უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე განჩინების გაცემის შუამდგომლობით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სწორედ აქ ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი. იმის გამო, რომ კანონმა ეს უფლებამოსილება მხოლოდ ბრალდების მხარეს მიანიჭა და ამასთან სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით უჩვეულოდ განვითარდა, მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ თუ რას მიიჩნევს საპროცესო კოდექსი კომპიუტერულ სისტემად ანდა

კომპიუტერულ მონაცეზად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27 ნაწილის შესაბამისას კომპიუტერული სისტემა არის „ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს“, ხოლო კომპიუტერული მონაცემი არის „კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას“.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კომპიუტერული მონაცემია ისეთი მონაცემი, რომელიც მართალია ინახება კომპიუტერულ სისტემაში, მაგრამ საჯარო, ნებისმიერი პირისათვის, ისევე როგორც მონაცემი, რომლის გაცემის ვალდებულებაც საჯარო დაწესებულებებს გააჩნიათ, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა, თუმცა დაცვის მხარეს ეზღუდება უფლება მოიპოვოს და გამოიყენოს ისინი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად და ბრალდების უარსაყოფად. (ამის შესახებ ზემოთ ხსენებულ შეჯიბრებითობით პროცესის შესაბამის ველში უკვე ვისაუბრეთ.)

რა არსებითი მნიშვნელობის მქონდე მასალა შეიძლება იქნას მოპოვებული ფარული საგამომიბო მოქმედებების ჩატარების შედეგად? ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფარული საგამომიბო მოქმედებების მიზნებს, პრინციპებს და მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და დანაშაულთან მიმართებით (მიუხედავად იმისა ჩადენილია თუ მზადდება იგი) მტკიცებულებების მოპოვებაში. აგრეთვე, ბრალდებული პირის ადგილსამყოფელის დასადგენად, მის თანამზრახველთა გამოსავლენად, დანაშაულის ცადენის იარაღის ადგილსამყოფელის დასადგენად ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია დანაშაულებრივი გეგმის დასადგენად და ა.შ. ამ ინფორმაციების სხვა საშუალებით მოპოვება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ამ დროს პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რომ ამ ინფორმაციის მოპოვება, რომლის გამოც ის ითხოვს ფარული საგამომიბო მოქმედებების ჩატარებას, შესაძლებელია სხვა საშუალებითაც, თუმცა მისი/მათი რეალიზაცია (ანუ სისრულეში მოყვანა) ან გართულებულია საქართველოს ტერიტორიის რაღაც ნაწილში არსებული მდგომარეობის გამო ან ბრალდებული შესაძლოა იმყოფებოდეს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ღია ტიპის ძებნას აზრი არაქვს ან უკუშედეგის მომტანი იქნება ან დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და სხვა. მთელი ამ აღნიშნული სტანდარტების მტკიცების ტვირთი აევს პროკურორს. იმისათვის, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა ფარული საგამომიბო მოქმედებების განხორციელების შესახებ,

ყველა ეს სტანდარტი ერთობლივად უნდა გვექონდეს სახეზე და არა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანი.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით მოპოვებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა აღირიცხოს სათანადოდ. მისი აღრიცხვა ოქმში ძალზედ მნიშვნელოვანია. კერძოდ, ეს გულისხმობს, მასში აღირიცხოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები; ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაწყებისა და დასრულების დრო; იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება და მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები. უნდა ვთქვათ ისიც რომ, აღნიშნული კანონმდებლობა კრძალავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას გარკვეული პროფესიის პირების მიმართ და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. არ შეიძლება იმ ადამიანების მონიტორინგი, რომლებსაც საქმის შესახებ ინფორმაცია და კავშირი არაქვს რადგან შეიძლება დარღვეულ იქნეს ადამიანის კონსტიტუციური უფლება პირადი ნიფრომაციის ხელშეუხებლობა და ა.შ კერძოდ, სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, თუ საგამოძიებო მოქმედება არ უკავშირდება შესაბამის სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას. განსხვავებულ რეგულაციებს ადგენს კანონი ადვოკატთან მიმართებაში. უპირველესყოვლისა, სსსკ-ი საგამოძიებო ორგანოსგან ითხოვს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კომფიდენციალურობის პირნციპის დაცვას და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ადვოკატისა და კლიენტის მხოლოდ იმ კომუნიკაციის მიმართ უშვებს, რომელიც არ უკავშირდება ადვოკატის პროფესიულ სამიანობას. ამ მიზნით საგამოძიებო ორგანომ ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს ადვოკატის პირადი კომუნიკაცია და ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაცია. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაანადგუროს საგამოძიებო ორგანომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ის ინფორმაცია, რომელიც გამართული იყო ადვოკატსა და კლიენტს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობს კონკრეტული ვადით, რომელიც მოსამართლის განჩინების საფუძველზე გაიცემა არაუმეტეს 1 თვის ვადით, ამ ვადი სგასვლის შემდეგ მოპოვებული ინფორმაცია იქნება დაუშვებელი მტკიცებულება და წყდება ფარული საგამოძიებო მოქმედება. აღნიშნულის თაობაზე

გადაყვეტილებას იღებს პროკურორი. სწორედ მისი გადაწყვეტილებით ფარული საგამოძიებო მოქმედება შესაძლოა შეწყდეს ვადის გასვლამდეც, როდესაც არსებობს შემდეგი საფუძვლები; მაგალითად, როცა შესრულდა ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანების შესრულება ფარული საგამოძიებო მოქმედების განჩინებით განსაზღვრულ ვადამდე შეწყვეტის საფუძველია.

-
1. ავტორები: ლ. ფაფიაშვილი; გ. თუმანიშვილი; დ. კვაჭანტირაძე; ლ. ლიპარტელიანი; გ. დადეშქელიანი; შ. გუნცაძე; ნ. მეზვრიშვილი; ლ. თოლორაია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები კარი მე-4, გვ 372, 373,374
 2. ვ. ზაალიშვილის სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, 1 გამოცემა, ნათია სონღულაშვილის სტატია, გვ. 79.
 3. ქ. ჩომახაშვილი, თ. თ. თომაშვილი, გ. ძეგნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2016 გამოცემა გვ, 26
 4. ავტორები: ლ. ფაფიაშვილი; გ. თუმანიშვილი; დ. კვაჭანტირაძე; ლ. ლიპარტელიანი; გ. დადეშქელიანი; შ. გუნცაძე; ნ. მეზვრიშვილი; ლ. თოლორაია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები კარი მე-4, გვ, 427, 428, 429, 430, 432, 433, 440, 441.

თავი III. მტკიცებულებათა დასაშვებობა

სანამ უშუალოდ მტკიცებულებათა დასაშვებობა გადავალ, მანამ თვალი გადავავლოთ მცირე ისტორიულ რაკურსს მისი შექმნისა, მნიშვნელობისა და განვითარების შესახებ.

გამოჩენილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი ერემია ბენტამი (1748-1832) კარგა ხსნის წინ წერდა, რომ „სამართალარმოების ხელოვნება თავისი არსით სხვა რა არის რა, თუ არა მტკიცებულებით სარგებლობის ხელოვნება. დიდი მოაზროვნის ამ სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა მკვლევართა ინტერესის საგანს, რომელიც დღესაც რჩება ჯერ კიდევ შეუსწავლელ და აქტუალურ პრობლემად მსოფლიო საზოგადოებაში. თავდაპირველად განვმარტავ თვითონ სიტყვას „ მტკიცებულებათა დასაშვებობა“ რომელიც გულისხმობს რაიმეს „შესაძლებლობას“ - ეს ტერმინი ხშირად გვხდება სისხლის სამართლის პროცესში, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე იმფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა, ეს მისი ზუსტი

განმარტებაა, რადგან მტკიცებულების დასაშვებობა სწორედ ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

უნდა ავლნიშნო, რომ დანაშაული, რაც არ უნდა აქტიურად ვებრძოლოთ მას, მაინც მოხდება. ეს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც ყოველთვის იარსებებს. საინტერესო ისაა თუ რა გზებით უნდა მოხდეს დანაშაულის გამომიება და რა მეთოდები უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ვამხილოთ დამნაშავე. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ყოველთვის არსებობს ეჭვები, ეს ეჭვები ზოგჯერ იმდენად მკაფიოა, რომ შესაძლებელია დამნაშავის ვინაობა ყველასათვის ცნობილი იყოს და გარემოებები აშკარად მიუთითებდეს მის ბრალეულობაზე მაგრამ ეს საკმარისი არარის.

დამნაშავის გამოვლენა და დასჯის ერთადერთი საშუალება სამართლიანი მართლმსაჯულებაა, ამისთვის კი ჭეშმარიტების დადგენაა აუცილებელი. ამიტომ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურება და პირის დამნაშავეობის დადგენა სამართლებრივი გზებით უნდა მოხდეს. ეს გზები სწორედ მტკიცებულებების მოპოვების გზაა, რომელიც ერთადერთი საშუალებაა წარსულში მომხდარი ფაქტების აღდგენის და რომლითაც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელი. მტკიცებულება- ეს არის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ფაქტებს ან მოვლენებს, ამიტომ სისხლის სამართლის საქმის ბედი მტკიცებულებების ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია საქმეზე სამართლებრივ სედეგებს წარმოშობს, რაც გულისმობს იმას რომ ამ ინფორმაციით ხდება პირის დამნაშავედ ცნობა, რომელიც ხშირად სათუოც შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია მტკიცება თავისივე თავში დასაბუთებული იყოს, რადგან ლოგიკური განვიტარება და ობიექტური შედეგის მირება საქმეზე სწორედ მტკიცების გზით შეიძლება.

მიღებული დასკვნები უტყუარი მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული. ამიტომ სასამართლოს განაჩენი სწორედ მაშინაა დასაბუთებული, ობიექტური და კანონიერი, თუ ის საქმეში არსებულ უტყუარ და კანონიერ მტკიცებულებათა ერთობლიობას ემყარება. აქედან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმეში ნებრისმიერი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. იმისათვის, რომ ინფორმაცია მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ის უნდა აკმაყოფილებდეს რამოდენიმე კრიტერიუმს. მაგალითად იმას, რომ ის უნდა იყოს სანდო წყაროდან მოპოვებული, ანუ სანდოობის მაღალი ხარისხით უნდა ხასიათდებოდეს და არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის კონსტიტუციურ ულებებს, პატივსა და ღირსებას. ამ და სხვა პირობათა ერთობლიობა მტკიცებულების საქმეზე დაშვების საფუძველს ქმნის და აყალიბებს მტკიცებულების ისეთ თვისებას, როგორცაა მტკიცებულების დასაშვებობა.

მნიშვნელოვანია თუ რა ფაქტორებზეა დამოკიდებული მტკიცებულებად ინფორმაციის დაშვება სისხლის სამართლის საქმეზე? ფაქტორად შესაძლებელია ჩაითვალოს მისი სამართლებრივი ხასიათი, რომელზედაც ისარის დამოკიდებული. ანუ თუ ინფორმაციის კანონიერება სამართლებრივი ხასიათის არ იქნა ის ვერ იქნება მტკიცებულებად დაშვებული. მტკიცებულების დასაშვებობა კანონით დადგენილი უამრავი წესის დაცვას გულისმობს, ამიტომ მას უნდა გააჩნდეს იურიდიული ძალა, რომლითაც მკაცრად იქნება განსაზღვრული ინფორმაციისთვის მტკიცებულების ძალის მინიჭება. იურიდიულ ძალაში სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის გამოყენების, ამ ინფორმაციის მეშვეობით სამქისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის და მის საფუძველზე საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა იგულისხმება. თუ ინფორმაცია საპროცესო წესით არ იქნა დამაგრებული, თუ მან მტკიცებულების სტატუსი არ შეიძინა, ასეთ ინფორმაციას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. ის დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება კი სისხლის სამართლის საქმიდან გამოირიცხება როგორც იურიდიული ძალის მქონე, აგრეთვე მას აღარ ექნება მტკიცებულებითი ძალა და სისხლის სამართლის სამეზე მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება. საქართველოს 2010 წლის 1 ოქტომბრის კოდექსში არ არის განმარტებული თუ რომელი მტკიცებულება უნდა იქნეს დაშვებული სისხლის სამართლის საქმეზე და არც იმას გააჩნია თუ არა მტკიცებულებას იურიდიული ძალა. თუმცა კოდექსი ადგენს იმ პირობებს, როდესა მტკიცებულება არ დაიშვება სისხლის სამართლის საქმეზე. კოდექსის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „ ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. აქ არაფერია ნათქვამი თუ რა იგულისხმება არსებით დარღვევაში. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც მოპოვებული ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. კერძოდ, კოდექსის 111-ე მუხლი გვეუბნება, რომ მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა მაშინ, თუ იგი მიღებულია იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არარის შეკრიბოს მტკიცებულებები კონკრეტულ საქმეზე, თუ იგი მოპოვებულია კანონით გაუთალისწინებელი წყაროდან, აგრეთვე, თუ დადგენილი წესი დაირღვა ძალადობით, მუქარით შანტაჟით, პიროვნების აბუჩად აგდებით ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით და თუ პირმა, რომელმაც დაარღვია კანონი ან არ შეუძლია

მიუთითოს, რომელი წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

მეტი თვალსაჩინოებისთვის მინდა წარმოგიდგინოთ **თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის გიორგი მიროტაძის განჩინება საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ**,¹ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გათვალისწინებით.

კერძოდ, თბილისის პროკურატურიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 14 თებერვალს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის N008151016009 საქმე ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2017 წლის 27 თებერვალს. აღნიშნულ სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის მიერ განხილული იქნა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, დამტკიცდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა სტაჟიორ-პროკურორ ნათია კუპრაშვილის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა - სს „ვ. პ. ჯ.“-სადმი მიმართვის წერილის და მომართვისა და ამ დოკუმენტების საფუძველზე მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებისა - სამეთვალყურეო კამერის მიერ დაფიქსირებული ვიდეოჩანაწერისა CD დისკზე. ამავე სხდომაზე, სისხლის სამართლის საქმე გადაეცა არსებითი განხილვისათვის და ბრალდებულ გ. ა.-ს მიმართ არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2017 წლის 13 მარტს 17:00 საათზე.

განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებების ნაწილი მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით. ამავე დროს ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილია გამომძიებლის, 2016 წლის 27 ოქტომბრის მიმართვის წერილი სს „ვ. პ. ჯ.“-სადმი, რომლითაც გამიძიებამ ითხოვა ხსენებული

კომპანიის კუთვნილი და შემთხვევის ადგილის მიმდებარედ არსებული ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. 2016 წლის 03 ნოემბრის საპასუხო მიმართვით, სს „ვ. პ. ჯ.“-ს მხრიდან გამოძიებას გადაეცა მოთხოვნილი ჩანაწერი CD დისკზე.

ჩვენ ვიცით, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ზოგადი წესები, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერულ სისტემასა და ან კომპიუტერულ მონაცემთა საშუალებაში შესაძლოა ინახებოდეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მტკიცებულების სახით შესაძლოა გამოყენებული იქნას მხარეთა მიერ და ამ მიზნით მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში კომპიუტერული მონაცემის დამუშავებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა პირთა პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებას, პერსონალური მონაცემების უკანონო ხელყოფისაგან დაცვის მიზნით, სისხლის სამართლის პროცესით სხვა საპროცესო მოქმედებებისაგან განსხვავებით დადგენილი იქნა უფრო მაღალი სტანდარტი და სწორედ ამიტომ მსგავსი ინფორმაციის მოპოვებისათვის კანონმდებელმა დაადგინა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის განსაზღვრული დებულებების გამოყენება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136- ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილი ვიდეო-ჩანაწერი წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს. გამომძიებელმა ნაცვლად იმისა, რომ მოეპოვებინა სასამართლოს შესაბამისი განჩინება ამ ჩანაწერის ამოღებაზე ნებართვის გაცემის შესახებ, მან პირდაპირ მიმართა მფლობელს და ისე მოიპოვა ჩანაწერი, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მოსარჩელემ ეს განჩინება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც ითხოვს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ბრალდების მხარის მტკიცებულებების - მიმართვის წერილისა და ვიდეოჩანაწერი CD დისკზე, დასაშვებად ცნობას. საჩივარში მითითებულია, რომ ბრალდებული გ. ა. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი დაეთანხმნენ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებული ყველა მტკიცებულების დასაშვებად ცნობას. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მოხდა მხარის შუამდგომლობის გარეშე, მოსამართლის ინიციატივით (რაც საჩივრის ავტორს მიაჩნია კანონის დარღვევად). სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და აღნიშნული პრინციპი თანაბარწილად ვრცელდება ბრალდების მხარეზე, დაცვის მხარეზე და სასამართლო ხელისუფლებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი „მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე“, რომელზედაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე 2016 წლის 21 ოქტომბრის #1გ/1616-16 განჩინებაში განმარტავს, რომ „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ უნდა ერეოდეს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში მხარის შუამდგომლობის გარეშე, რათა საქმის არსებითი განხილვისას მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა სასამართლოს წარუდგინონ ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც ისინი სადაოდ არ ხდიან და საქმის არსებითად

განმხილველმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკიცებულების გაზიარების შესახებ“. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ წინასასამართლო სხდომის სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი.

წარმოდგენილ საჩივარში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მომჩივანს ნათლად ქონდა ჩამოყალიბებული არგუმენტები და საქმე განსახილველად მიიღო, მაგრამ საკითხის განხილვისას, საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსამართლის უფლებები, ასეთ დროს სასამართლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ეტაპზე მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი არის "ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი". რაც ნიშნავს, რომ თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები არ არის სავარაუდოდ საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ის წვეტს სისხლის სამართლებრივ დევნას პირის მიმართ. ასევე, მოსამართლემ შეიძლება ერთი ან რამდენიმე მტკიცებულება ცნოს დაუშვებლად და იმავე სტანდარტზე დაყრდნობით შეწვიტოს დევნა.

ამდენად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე საკითხის გამოკვლევისა და შეფასების გარეშე კი არ ამტკიცებს მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაშვებაზე, არამედ მიუხედავად მეორე მხარის პოზიციისა, ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა და სწორედაც, რომ თავისი ინიციატივითაც უნდა შეამოწმოს კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, ვინაიდან მტკიცებულებათა დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობა სწორედ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხია. გამოძიების ეტაპზე გამონაკლისია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-

ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც შესაძლებელია, ჩატარებული საგამომიებო მოქმედების უკანონოდ და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143 3 -ე მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა (რომელიც ეხება ფარულ საგამომიებო მოქმედებებს).

რაც შეეხება, საქმის არსებითი განხილვას, ამ ეტაპზე მოსამართლე ძირითადად მსჯელობს დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების გაზიარების (განაჩენის საფუძველად გამოყენების) თუ არ გაზიარების (ან არ გამოყენების) თაობაზე და შესაბამისად, ხსენებული ნორმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია ან იმგვარად განმარტება, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ უნდა ერეოდეს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვაში, არ გამომდინარეობს პროცესის მიზნებიდან და ასეთი მიდგომა ფაქტობრივად აზრს უკარგავს წინასასამართლო სხდომის, როგორც ინსტიტუტის არსებობასაც და მოსამართლის როლს პროცესში, რამეთუ ასეთ ვითარებაში მოსამართლე ფაქტობრივად იქნება მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მიმღები და ავტომატურ რეჟიმში საქმის მასალების არსებითი სხდომის მოსამართლისათვის გადამცემი პირი, რასაც საერთო სასამართლოებში ისედაც ახორციელებს კანცელარია.

საკითხის თვალსაჩინოებისთვის უნდა განიმარტოს თუ როგორია მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე მტკიცების ტვირთი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამდენად, კანონმდებელი ბრალდების მხარეს აკისრებს, ამ შემთხვევაში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ მტკიცების ტვირთს და ეს არ არის დამოკიდებული დაცვის მხარის (ბრალდებულის) შეხედულებაზე. დაცვის მხარე არ არის შეზღუდული და უფლება აქვს სადავოდ გახადოს ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობა, თუმცა მას ამის ვალდებულება არ აქვს. მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა. არ შეიძლება ნორმის ისე განმარტება, რომ თუ დაცვის მხარე არ შუამდგომლობს ბრალდების მხარის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობაზე, მაშინ ბრალდების ყველა მტკიცებულება აუცილებლად დასაშვები უნდა იყოს. ბრალდების მხარის მტკიცებულება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არ იქნება გამოკვეთილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც აშკარად მიუთითებს მტკიცებულების დაუშვებლობაზე. შესაბამისად, ბრალდების მხარის მტკიცებულებების შესწავლისას თუ სასამართლო გამოავლენს ისეთ გარემოებას, რომელიც იძლევა მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველს (მაგ: მტკიცებულება აშკარად არაავთენტიკურია, საქმესთან არ არის შემხებლობაში და ა.შ.) მიუხედავად დაცვის მხარის პოზიციისა, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა იმსჯელოს და შეაფასოს აღნიშნული. ხსენებულ პოზიციას ამყარებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72- ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი, რომლის

თანახმადაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო, რა დროსაც საგამომიებო კოლეგიის შეფასებით საკითხი გადაწყვეტისას მოსამართლემ სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულება. მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც მისი მოპოვების ხერხი, ისე მისი ავთენტიკურობა. აგრეთვე ის, თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას კანონი და აღნიშნულს ხომ არ გამოუწვევია ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებების დარღვევა.

ზემოაღნიშნული ნორმების გაანალიზებისა და ურთიერთ შეჯერებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება თავისი ინიციატივით, მეორე მხარის შუამდგომლობის გარეშე ეცნო მტკიცებულებები დაუშვებლად. აღნიშნული არ არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან მხარეს არ შეზღუდვია შესაძლებლობა სასამართლოსთვის წარედგინა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნდა. მით უფრო, რომ დაცვის მხარისაგან განსხვავებით ბრალდების მხარეს უფრო მეტი რესურსი გააჩნია გამომიების პროცესში (სახელმწიფოს სახით) და ამასთან, ის, თუ რომელი მტკიცებულება უნდა გადაეცეს საქმის არსებითი განხილვისათვის (ანუ რომელი მტკიცებულება იქნება დასაშვებად ცნობილი) აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს ამ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე და არა მხარე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამომიებელმა სსსკ-ს 136 მუხლის შესაბამისად არ მოახდინა მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც ეხება კომპიუტერული მონაცემების ამოღებას და რომელიც პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გაიცემა სასამართლოს განჩინებით. **სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ დაუშვებელია გამომიებლის მიმართვის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვა.** ამასთან, თუ ხსენებული ინფორმაცია ნებაყოფლობით იქნებოდა გამომიებლის მიმართვის, წერილის, მოთხოვნის გარეშე წარდგენილი საგამომიებო ორგანოსათვის ან გამომიებლის მიერ მოპოვებული შესაბამისი საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით, ზოგადი წესებიდან გამომდინარე, აღნიშნული მოცემულ შემთხვევაში გახდებოდა მსჯელობისა და შეფასების საგანი, თუმცა წარმოდგენილი მასალები ამის საფუძველს არ იძლევა.

ყოველივეზემთ ალნიშნულის მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე გამომიებლის ქმედება არ ესადაგება მის მიერ ჩატარებული მოქმედებების შესახებ, კანონში არსებულ დათქმას და ასეთ ვითარებაში სს „ვ. პ. ჯ.“-დან ვიდეოჩანაწერის გამომიებისათვის გადაცემა, გამომიებლის წერილის (მიმართვის) საფუძველზე, ეწინააღმდეგება საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის განსაზღვრულ წესებს, რომლითაც ფაქტობრივად გამოირიცხულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობა კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის პირობებშიც, რის გამოც საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იქნას მაღალი სტანდარტი და სასამართლოს კონტროლის შესაძლებლობა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტებს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე და საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა, მოცემული სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე კანონის სრული დაცვით განიხილა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და კონკრეტულ შემთხვევაში მიიღო არსებითად სწორი, კანონიერი, დასაბუთებული და მართლზომიერი გადაწყვეტილება.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჩივარში აღნიშნული გარემოებები იმ სტანდარტით, რომ იგი საკმარისი იყოს ხსენებული

მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისათვის, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ეს გადაწყვეტილება ზუსტად ასახავს იმ დაუშვებელ მტკიცებულებას, რომელიც თანამდებობის პირის უფლებამოსილებებზე უსვავს ხაზს მტკიცებულებების შეკრების თაობაზე. ყველა აღნიშნული მოთხოვნა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა. ამ პირობების დაცვა სისხლის სამართლის საქმეში უტყუარი ინფორმაციის არსებობას უზრუნველყოფს. ჩვენი არსებული კანონმდებლობა რომ შევადაროთ საზღვარგარეთის ქვეყნებს მაგალითად; საფრანგეთს, იქ მტკიცებულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს, სადაც ნებისმიერი ინფორმაცია მტკიცებულებად დაიშვება. მნიშვნელოვანია მტკიცებულების წყარო საიმედო და კანონიერი იყოს, ეს თუ ასე არ მოხდა საიმედოობის დაბლი ხარისხით შეფასდება და ამოღებული იქნება სისხლის სამართლის საქმიდან. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა ის, რომ მტკიცებულება სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ უნდა იყოს მოპოვებული, რადგან ის ის ობიექტური სამართალარმოების კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიაა. წინასწარი გამოძიების ობიექტურად წარმართვისთვის, აუცილებელია საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა, გამამტყუნებელი

და გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვება. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ, მარალკვალიფიციურ და ობიექტურ პირს შეუძლია.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მინდა წარმოგიდგინოთ ნათელი მაგალითი კანონით დადგენილი წესის დარღვევის, ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების და სხვა უკანონო მეთოდების გამოყენების, რომელიც დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველს ხდის საპროცესო საქმეზე. ეს არის **მაგნუს გეფგენის საქმე**², რომელიც მსოფლიოში კრიტიკის საგნად იქცა. უფრო კონკრეტულად კი, 2002 წელს გერმანიაში, მაგნუს გეფგენმა 27 სექტემბერს გაიტაცა 11 წლის იაკობ ფონ მეტცლერი, რომელიც ბანკირის შვილი იყო. გეფგენმა იგი მოკლა და გვამი ტბასთან დამარხა. მაშინდელმა პოლიციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვოლფგანგ დაშერმა, გასცა განკარგულება გეფგენის მიმართ ძალის გამოყენებაზე. კონკრეტულად კი, მას დაკავების დროს სახე მიწაზე არტყმევინეს, შემდგომი პროცესის დროს დაემუქრნენ რომ საკანში ორ შავკანიან მამაკაცთან შეამწყვრევდნენ და სექსუალურად იძალადებდნენ, ამსთან ერთად მიაყენებდნენ ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას, გამომძიებელმა დაკითხვის დროს მას ნიკაპშიც არაერთხელ დაარტყა, ამ ყველაფერს მტავრობა უარყოფდა მაგრამ სამედიცინო ექსპერტი სულ სხვა რამეს ამტკიცებდა, რომ ის ნამდვილად იყო წამების მსხვერპლი. წამების შიშით გამტაცებელმა დაასახელა ბავშვის ადგილსამყოფელი. ფრანკფურტის სასამართლომ მაგნუს გეფგენს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის. თუმცა, მოგვიანებით სასამართლომ პოლიციის მუშაკებიც სცნო დამნაშავედ, მაგრამ მათ მხოლოდ პირობითი მსჯავრი შეეფარდათ. ამ საქმიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვები უნდა იყოს წამება და წამების მუქარა. თუმცა, აქ უკვე ვაწყდებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

ამ და სხვა საქმის გადაწყვეტილებების და კანონმდებლობის გათვალისწინებით, ადამიანს შესაძლოა გაუჩნდეს ლოგიკური კითხვა: ამდენი აკრძალვები, იქნება ეს გადაუდებელი ფარული საგამომძიებო მოქმედებების განხორციელება განჩინების გარეშე, თუ ადამიანზე ზეწოლით აღიაროს სიმართლე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ, ხომ არ არის არაპროპორციული და საბოლოოდ ხომ არ მიგვიყვანს იქამდე, რომ თუ პირი დანაშაულზე არ წაასწარი, მის მიმართ მტკიცებულებების შეგროვება ძალიან გაჭირდება? ვეცდები ამ კითხვას თვითონვე ვუპასუხო. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ანგლოამერიკულ ქვეყნებშიც აქტიურად არის საუბარი იმაზე, რომ მტკიცების ეს სისტემა "რომელმაც გასული საუკუნეში მართლაც სამართლიანად შებოჭა "თავხედი" სახელმწიფო, დღეს გამართული და კეთილსინდისიერი სისტემის ტვირთია და ვერ უზრუნველყოფს "საჯარო ინტერესის" დაცვას. ამასთან, არაერთ გამომძიებელსა და პროკურორს

მიაჩნია, რომ მტკიცებულებათა მოპოვების თავისუფალი ფორმა გაცილებით გაადვილებს როგორც ზოგადად დანაშაულთან ბრძოლას, ისე ცალკეული დანაშაულის გახსნას, დამნაშავის გამოვლენასა და დასჯას. ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა გამოწვიოს უმაღლესი კანონის, რომელიც ყველა სამართლებრივ კანონზე მაღლა დგას ადამიანის კონსტიტუციური უფლების შელახვა, რაც თანამედროვე საზოგადოებისთვის ყოველად მიუღებელია. ასეთი გზებით მოპოვებულ ინფორმაციას ობიექტურობაზე პრეტენზია ვერ ექნება, რადგან ამ დროს პირმა შეიძლება სრულიად შეგნებულად ცრუ ჩვენება მისცეს და ასეც რომ არ იყოს ის იწვევს სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კანონმდებლობების დარღვევას.

უფრო ფართოდ რომ გავშალო **მტკიცებულების დაუშვებლობა** აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ ის მოტივები, რომლის გამოც მტკიცებულება იქნება დაუშვებელი. ესენია; **მტკიცებულებათა დაუშვებლობა არსებითი დარღვევისა და შესაძლო გამოცვლის მოტივი; მტკიცებულებათა დაუშვებლობა გაცვლის წესის დარღვევის მოტივი; მტკიცებულებათა დაუშვებლობა არარელევანტურობის გამო; მტკიცებულების დაუშვებლობა სხვადასხვა საფუძვლებით.**

არსებითი დარღვევით და შესაძლო გამოცვლის მოტივი გულისხმობ იმას, რომ მხოლოდ ის მტკიცებულებებია დაუშვებელი, რომლებიც არსებით დარღვევას ეფუძნება. შესაბამისად, ნებისმიერი კანონდარღვევა არ გამოიწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ამისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა შეფასდეს და დადგინდეს. მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტის დროს, სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხი და განხორციელებული საგამომიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა, აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს დარღვეული ნორმის ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლების დაცვას.

მტკიცებულება დაუშვებელი იქნება მაშინ, როცა ამ **მტკიცებულებების გაცვლის წესი იქნება დარღვეული**. ეს გულისხმობს იმას, რომ მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მხარეებმა, დაუყოვნებლივ და სრული მოცულობით უნდა გაცვალონ სამ სხვადასხვა დროს. ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის პირველ სხდომამდე, და წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე. თუ ეს

პირობები არ იქნება დაცული მოსამართლე მიირებს გადაწყვეტილებას ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ. მტკიცებულებათა გაცვლა ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე ნიშნავს იმას, რომ მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს ის ინფორმაცია და მტკიცებულები, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები. წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე მტკიცებულებების მხარეებისათვის გადაცემა ნიშნავს, რომ წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ, მტკიცებულება შეიძლება დაუშვებლად ცნოს, თუ ის **არარელევანტურია** განსახილველ საქმესთან მიმართებით.

მტკიცებულების რელევანტურობა გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან ანუ, არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის. მტკიცებულება არარელევანტურია თუ იგი არ მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებებზე, როცა ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია სხვა მტკიცებულებებით, იგი არარელევანტურია მაშინ თუ არ ადგენს ფაქტებს, რომელიც ეწინააღმდეგება საგამომიებო ვერსიას, იგი აგრეთვე არარელევანტურია, როცა არ ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს. სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით მოსამართლეს შეუძლია არ დაუშვას და არსებით განხილვას განარიდოს მტკიცებულებები, რომელიც კავშირში არ არის საქმესთან, ანუ არარელევანტურია.

სხვა საფუძვლით მტკიცებულებების დაუშვებლობა გულისხმობს, მაგალითად დოკუმენტს ან სხვა ნივთიერ მტკიცებულებას, რომლის დროსაც მხარეს არ შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა ან შექმნა ეს მტკიცებულება. აგრეთვე დაუშვებელია მტკიცებულება თუ დოკუმენტის ან სხვა ნივთიერი მტკიცებულების ნამდვილობა არ დადასტურდება. მხარეები ვალდებული არიან ამტკიცონ დოკუმენტისა თუ ნივთიერი მტკიცებულებების ავთენტიკურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიიჩნევიან დაუშვებლად. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება ავთენტიკურია, თუ ის არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული, და მასზე აღბეჭდილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ამოცნობის ოქმის წესები, რომელსაც ადგენს სსსკ-ს

131-ე მუხლი და ის თუ რა შემთხვევებში შეიძლება იქნას იგი დაუშვებელ მტკიცებულებად.

ამოცნობის ოქმი დაუშვებელი მტკიცებულება იქნება მაშინ, როცა ამოცნობის დროს არ არის დაცული ამოსაცნობად წარსადგენ პირთა რაოდენობა, ასევე თუ დაკითხვის დროს ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის ან თუ ამომცნობს მიანიშნებს ამოსაცნობ ობიექტზე. აგრეთვე, სსსკ-ს 144-ე მუხლი ადგენს ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობას თუ ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ვერ ან არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა.

როდესაც ვსაუბრობთ მტკიცებულების დაუშვებლობაზე, სხვა ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელზედაც უკვე ნაწილობრივ ვისაუბრე იქნება ეს გაცვლის წესის დარღვევის გამო დაუშვებელი მტკიცებულება თუ არარელევანტურობის გამო, ხშირად ყველას ავიწყდება, რომ არსებობს კიდევ ერთი სსსკ-ით გათვალისწინებული დარღვევა, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. კერძოდ, სსსკ-ს 169 მუხლის მე-9 ნაწილი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსის დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურებაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან. ამ საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებული იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც პირის მიმართ შეიქმნა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საფუძველი. ამის მაგალითად მინდა მოგიყვანოთ 2015 წლის 15 სექტემბრის მაგალითი გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოცხადებულიყო მის ბრალდებასთან დაკავშირებით, რა დროსაც მოსამართლე ჯანმრთელობის გამო არ გამოცხადდა პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ისე უნდა იგეგმებოდა, რომ საქმის მსვლელობას და მოსამართლის ვალდებულებას ხელი არ შეეშალოს. 2016 წელს მოსამართლე მერაბ ტურავას მხრიდან გადაწყვეტილების ხელმოწერაზე საბოლოო უარის თქმის შემდეგ, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ხელმოწერის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადების შესახებ. საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია პროცესის გაჭიანურება, გათავისუფლებისათვის საჭირო პროცედურები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უნდა განხორციელდეს, ამისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა სასამართლოს თავისი ინიციატივით, დაუყონებლივ ჩაენიშნა საკითხის განხილვა და არ დალოდებოდა ბრალდებულის შუამდგომლობას. ამასთან ბრალდებულის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი საქმის განმხილველ პირველივე მოსამართლეს უნდა განეხილა. რაც გიგი უგულავას შემთხვევაში არ მომხდარა. საკონსტიტუციო

სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განსახილველად სხდომის ჩანიშვნა რამდენიმე საათის შემდგომ მოხდა, თავის მხრივ სხდომაზე კი ბრალდების მხარე პროცესის გაჭიანურებას ცდილობდა. მათ ჯერ სათადარიგო მოსამართლის აცილება მოითხოვეს, შემდგომ მიმდინარე საქმეზე უკვე ჩანიშნული სხდომის თარიღის ცვლილების თაობაზე განჩინების წარმოდგენა, ბოლოს კი მთლიანად თბილისის საქალაქო სასამართლოს აცილებაც კი მოითხოვეს. მას შემდეგ რაც არცერთი შუამდგომლობა არ დაკამოფილდა, ბრალდების მხარემ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაცნობად დრო მოითხოვა, მოსამართლემ მათ ამისთვის მხოლოდ 2 საათიანი ვადა მისცა. ბრალდების მხარემ აღნიშნული დრო არაგონივრულად მიიჩნია. თუმცა, სასამართლომ იმავე დღეს გვიან ღამით გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან მაინც გაათავისუფლა. პროკურატურის ქმედებები ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მათი ერთადერთი მიზანი ბრალდებულ უგულავას პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა. აღნიშნული კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ანგარიშში გამოთქმულ ეჭვებს სახელმწიფო ბრალდების მიზანზე, რომელიც კონკრეტული პირის მაქსიმალურად ხანგრძლივი ვადით პატიმრობაში დატოვებას წარმოადგენდა.

ამ კონკრეტულ საქმეზე ზემოთ აღნიშნული მუხლის გამოყენება არ მომხდარა, ვფიქრობ ეს მუხლი რომ გამოყენებულიყო ამავე მუხლის შესაბამისად, იგი გახდებოდა ყველა იმ მტკიცებულებების დაუშვებლობის საფუძველი, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს.



1 57732017-03-16.pdf

2 <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-16-39-43/73-2014-05-23-13-18-05>

თავი IV. „მოწამლული ხის ნაყოფი“

“ მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია - ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს სისხლის სამართლის

პროცესი ითვალისწინებს „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინას. კერძოდ, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულ იქნა სხვა უკანონო მტკიცებულების საფუძველზე, ამასთანავე აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია.¹ ამ შემთხვევაში არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ მტკიცებულება კანონიერი გზით არის მოპოვებული, რადგან მას საფუძველად უკანონო მტკიცებულება უდევს.

ტერმინი „მოწამლული ხის ნაყოფი“ (fruit of the poisonous tree doctrine) მომდინარეობს ბიბლიიდან. უფრო ზუსტად კი, მათეს სახარების მე-7 თავში ნახსენებია: „ცრუ წინასწარმეტყველი ნაყოფით იცნობა“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ასეთი თეორია: „თუ მტკიცებულების წყარო („ხე“) უკანონოა, მისგან მომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია („ნაყოფი“) ასევე უკანონო იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოწამლული ხე (თავდაპირველი მტკიცებულება) და მოწამლული ხის ნაყოფი (მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება) - ორივე უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან“.²

„ მოწამლული ხის ნაყოფის“ მეტაფორა 1939 წელს გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენა აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ფელიქს ფრანკფურტერმა. აღნიშნული საქმე „Nardone v. United states“ ეხებოდა ფრენკ ნარდონს, რომელიც აშშ-ს პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო იგი - კონტრაბანდასა და ალკოჰოლურ ნივთიერების დამალვაში. ბრალდებულმა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან ბრალდება ემყარებოდა ისეთ მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებული იყო უკანონო სატელეფონო საუბრის მოსმენისას. ასეთი სახის მტკიცებულება ეწინააღმდეგებოდა 1934 წელს მიღებულ კანონს კომუნიკაციების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და ეს მოხდა „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიის საფუძველზე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია, როგორც მტკიცებულებათა გამორიცხვის მეთოდი, პირველად აშშ-ში 1914 წელს იქნა გამოყენებული, კერძოდ, იგი აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე „Weeks v. United states“ გამოიყენა. აღნიშნული საქმე ეხებოდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორების დარღვევას, რომელიც ფედერალურმა აგენტმა დაარღვია, რაც გამოიხატა იმაში, რომ მტკიცებულებები მოიპოვა პირადი კორესპონდენციის დარღვევით. ამაზე კი უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებაზე არ უნდა იყოს აგებული ბრალდება. „მოგვიანებით მოქმედების ფარგლები გაფართოვდა და იგი უკანონო ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებაზედაც გავრცელდა“.³

მართალია, აშშ-ში მოქმედებს ზემოხსენებული „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია, მაგრამ მასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა

გამონაკლისები, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში ასეთი სახით მოპოვებულ მტკიცებულებებს დასაშვებს ხდის.

ამ გამონაკლისების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმან, რომ ხშირად რთული დასადგენია კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებამ რატომ უნდა გამოიწვიოს სხვა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა?

პირველ საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი“, იგივე - „independent source exception“.⁴ მასში მოიაზრება ისეთი სახის მტკიცებულებები, რომელიც ეფუძნება არა არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროს. ამგვარად, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება სხვა დამოუკიდებელი წყაროდან არის შესაძლებელი, „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინა ვერ გამორიცხავს მას პროცესიდან, რადგან სხვა წყაროდან მოპოვებულ მტკიცებულებასა და კანონის არსებითი დაღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, იმიტომ, რომ ისედაც შესაძლებელია მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით.

გამომდინარე აქედან, მტკიცებულებათა შეფასებისას უნდა დადგინდეს, არის თუ არა კავშირი იმ საგამომიებო მოქმედებას (რომელიც განხორციელდა კანონის დაცვით) და უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებას შორის. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი წყაროთი მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება დროში უნდა უსწრებდეს ან ემთხვეოდეს იმავე მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებულ უკანონო საგამომიებო მოქმედებებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთ-ერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე - State v. O'Brenski, რომელიც ეხება 14 წლის გატაცებულ გოგონას, რომელიც უკანონო ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს სექსუალურად მოძალადეს ბინაში.⁵ ბრალდებული დამნაშავედ ცნო სასამართლომ ამ გოგონას ჩვენების საფუძველზე. აღნიშნული ჩვენება იმიტომ დაუშვა მტკიცებულებად სასამართლომ, რომ უკანონო ჩხრეკის გარეშე იცოდა პოლიციამ გოგონას ადგილსამყოფელი ინფორმატორისგან ანუ დამოუკიდებელი წყაროსგან.⁶

შემდეგ გამონაკლისს წარმოადგენს - „inevitable discovery exception“ ანუ მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი, რომელიც ახლოს არის თავისი მნიშვნელობით „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისთან“.⁷ მას ასევე უწოდებენ - „ფაქტობრივად დამოუკიდებელ წყაროს წესს“, რაც გულისხმობს იმას, რომ: „როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც.“ აღნიშნული გამონაკლისის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ საქმე-„Soto v. New York“, საქმე ეხება იმას, რომ

პირი უფლებების განმარტების გარეშე დაკითხეს და მან აღიარა, თუ სად მალავდა დანაშაულის იარაღს. ეს ადგილი იყო საფოსტო ყუთი, რომელსაც ადრე თუ გვიან ნახავდა ფოსტალიონი. სწორედ ამიტომ, „application of common sense“ ანუ „საღი აზრის გამოყენებით“ მოსამართლემ ამოღებული მტკიცებულებები დასაშვებად სცნო. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს ასევე - „purged taint exception“ ანუ **გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისი**. მას ასევე „შესუსტებული მიზეზობრივი კავშირის“ (attenuated connection) სახელითაც იცნობენ, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: „მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამომიებო მოქმედებას შორის მართალია მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების დანაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა.“

საბოლოო გამონაკლის წარმოადგენს **კეთილსინდისიერების გამონაკლისი** - „good faith exception“. ამ გამონაკლის საფუძველი დაედო 1984 წლის გადაწყვეტილების შედეგად, საქმეზე „ლეონი“, სადაც „გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში“.⁸ ანუ თუ პოლიციელი კეთილსინდისიერად მოქმედებდა მტკიცებულების მოპოვებისას მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გასცა ჩხრეკის ნებართვა ასეთი სახის მტკიცებულება დასაშვებია. ამ გამონაკლისის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამომიების მწარმოებელი პირი კი არ უნდა მოქმედებდეს კანონსაწინააღმდეგოდ, არამედ თვითონ ნებართვის გამცემი სასამართლო. აღნიშნული გამო, კეთილსინდისიერების გამონაკლისს ბევრი სამართლებრივი ლიტერატურა აკრიტიკებს, რადგან ამით ხარვეზი ექმნება სასამართლოს და ჩნდება საფრთხე, რომ „მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის საფუძვლიანობა (საგამომიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით) მხოლოდ ზედაპირულად შემოწმდება, ვინაიდან, როგორც პოლიციამ, ისე მოსამართლემ იცის, რომ ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც იგი მაინც ვარგისად ჩაითვლება“. ეს საკითხი მართლაც, რომ დავის საგანია, რადგან მე ვფიქრობ რომ სასამართლოს კეთილსინდისიერების დარღვევაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ბრალდებული ბედი, იქნებ სასამართლომ უსაფუძვლოდ გასცეს ნებართვა, ამ ნებართვის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება კი დასაშვებად იყოს ცნობილი, ამ შემთხვევაში ვფიქრობ არასამართლიანად გადაწყდება ბრალდებულის ბედი.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, განსხვავებით აშშ-სგან, განხილული დოქტრინა, მართალია, გვხვდება ქართულ სისხლის სამართლის პროცესშიც, მაგრამ არა საგამონაკლისო შემთხვევებით. გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკაში ამ დოქტრინას არ გააჩნია საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს ზემოდ ხსენებული გამონაკლისები საქმის ინდივიდუალური

შემთხვევების განხილვისას, ხოლო საქართველოში მოსამართლე იზღუდება იმაში, რომ „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეში დაუშვას გამონაკლისები. ამ შეზღუდვას ახდენს ის ნორმა, რომელიც მოცემულია სსსკ-ს 72-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და შემდგომში კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებას შორის მიზეზობრივი კავშირი აღარ არსებობს ან თუნდაც უმნიშვნელოდ შესუსტდა. ამ შემთხვევაში ვფიქრობ შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნულ მუხლთან დამოუკიდებელი წყაროს და განწმენდილის ნაკლის გამონაკლისის გამოყენება.

1საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019, 72-ე მუხლის პირველი ნაწ.

2ჩხეიძე ი. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 70

3 იქვე. გვ. 70

4 თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004, გვ. 302

5 The Supreme Court of Washigton, Departament One. State v. O'BREMSKI 70 Wn.2d 425 (1967), 423 P.2d 530.

6 <https://law.justia.com/cases/washington/supreme-court/1967/38820-1.html>

7 თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2004, გვ. 303-304;

8 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 248;

მტკიცებულებათა ასიმეტრია - სისხლის სამართლის პროცესში დაცვის და ბრალდების მხარეს განსხვავებული უფლებები და ვალდებულებები აქვთ, თუმცა, ორივე მხარის მტკიცებულებებისათვის ერთი სამართლებრივი რეჟიმი არსებობს.

მართალია, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა, მაგრამ არსებობს საკითხი მათი დასაშვებობის შესახებ, რომელსაც ასიმეტრიის წესად მოიხსენიებენ. პირველ რიგში განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა - „ასიმეტრია“. იგი „სიმეტრიის“ ანტონიმია, რაც ნიშნავს სიმეტრიის უქონლობას ან დარღვევას⁹ ანუ „საქმე გარკვეული წესის, დადგენილი, თანაზომიერების დარღვევასთან გვაქვს“.¹⁰ მტკიცებულებათა ასიმეტრიის წესში კი გულისხმობენ იმას, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმისა, რომ ბრალდების მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს.¹¹ ამ მოსაზრებას იმით ამტკიცებენ, რომ დაცვის მხარე არ უნდა იყოს ვალდებული, ბრალდების მხარის მიერ დაშვებული შეცდომებისათვის

აგოს პასუხი - „დაცვის მხარის ბრალი არ არის რომ გამომძიებელმა მტკიცებულება კანონიერი გზით ვერ მოიპოვა“.

ასიმეტრიის წესის საპროცესო გამოყენებისას ვხვდებით ისეთ წინააღმდეგობას, რომელიც ეხება მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს. მართალია, „დაცვის მხარე ვალდებული არ არის უზრუნველყოს საპროცესო კანონმდებლობის დაცვა, მაგრამ ეს მას პრივილეგიურულ მდგომარეობაში სულაც არ აყენებს“ ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროცესში მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებები დაიშვება, რომელიც კანონის სრული დაცვით არის მოპოვებული. ამიტომ, გაუმართლებელია ის საკითხი, რომ რომელიმე მხარეს შეიძლება დაუწესდეს რაიმე შეღავათი. ამ მხრივ ასიმეტრიის წესის გათვალისწინება დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით, მტკიცებულებათა ასიმეტრიის წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც სახეზე არ გვაქვს კანონის მნიშვნელოვანი დარღვევა და მისი გამოყენებით სისხლის სამართლის საქმეში არ მოხდება ხელის შეშლა ჭეშმარიტების დადგენაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ასიმეტრიის წესის დაშვებისათვის, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შემუშავდეს მისი დასაშვებობის წინაპირობები. მაგალითად: „1. არ უნდა დაიღვეს დაცვის მხარის უფლებები, კერძოდ, არ უნდა შეიზღუდოს დაცვის უფლების განხორციელება, და 2. შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფა.“ განხილული საკითხიდან გამომდინარე, შეგვიძლია დასაშვებად მივიჩნიოთ ასიმეტრიის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეში, თუ იგი მნიშვნელოვნად არ არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს და ხელს არ უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ვფიქრობ, რომ მოწამლული ხის ნაყოფის თეორიას ნამდვილად აქვს არსებობის საფუძველი. ამ თეორიის მკაცრი დანაწესები აუცილებლად უნდა იქნეს რეალიზებული, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი შემთხვევები, როგორიცაა 2005 წლის შემთხვევა, მაგალითად, როცა საქართველოში რამდენიმე მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდა. რათმქაუნდა პრეზიდენტის განკარგულებამდე ისინი არ გათავისუფლებულან დაკავებული თანამდებობიდან მაგრამ იურიდიულად მათ არ ჰქონდათ უფლება დაეკანონებინათ საქმეები. მიუხედავად ამისა, მათ არაერთი საპროცესო მოქმედება დააკანონეს. სამართალწარმოება ჩვეულ რიტმში გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ამ პიროვნებებმა თანამდებობა ფაქტობრივად დატოვეს. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეჭვ ქვეშაც კიარ დამდგარა. არადა ნათელია, რომ დაირღვამტკიცებულების დასაშვებობის ისეთი მნიშვნელოვანი პირობა, როგორიცაა საქმეზე მტკიცებულების შეკრება უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ. წარმოუდგენელია, თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლე საქმეზე რაიმე გადაწყვეტილებებს იღებდეს და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იურიდიული ძალა ენიჭებოდეს(ანუ აღსრულებაში მიდიოდეს).

მსგავსი პრეცედენტი სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებას ძირს უთხრის და ანადგურებს. ამის დასადასტურებლად მინდა მოვიყვანო ლათინური სიტყვიდან ერთი გამოთქმა “ex injura jus non oritur” ანუ სამართალი არ შეიძლება იყოს უსამართლობის შედეგი - ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ უკანონო ქმედებები არ ქმნის კანონს. ვფიქრობ, რომ მოწამლული ხის ნაყოფის თეორია საოცარი მიგნებაა სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

9 ჩხეიძე ი. მტკიცებულებათა დასასველობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 62;

10 იბ. იქვე. გვ. 63;

11 იქვე;

დასკვნა

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომით კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, თუ რამხელა დატვირთვა აქვს მტკიცებულების დასაშვებობას და მასთან არსებულ პრობლემებს. ამ დასკვნის გამოტანაში დამეხმარა, როგორც ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ასევე, საერთაშორისო სტანდარტები.

პრობლემებში კონკრეტულად ვგულისხმობ მტკიცებულებების უკანონოდ მოპოვებას და მის საპროცესო დამაგრებას, ასევე დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებების დაუშვებლობას, რომელიც ქმნის პრობლემებს, კონკრეტულად კი არაგვაქვს ორი საპირისპირო მხარის დაპირისპირების შესაბამისი მუხლი, რომელიც საქმეს მეტ სანდოობას და სამართლიანობას შეძენს, ასევე დაცვის აუცილებლობა და ანონიმური მოწმის შესახებ პრობლემები, ასევე ნებისმიერი პირისგან წამებით ან არაადამიანური მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულებას, რომ იურიდიული ძალა არ გააჩნია და იგი არ უნდა იქნას პროცესზე დაშვებული, რადგან იგი გარდა კანონმდებლობისა ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ასევე მაგალითებით მაქვს განხილული სასამართლოს მიერ გამოტანილი ის განჩინებები, რომელშიც არსებითი დარღვევით არის ჩატარებული, სადაც ნათლად ჩანს თუ რა პრობლემებთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, სასამართლოს გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სახელით გამოქვს. სწორედ აქ იკვეთება

სახელმწიფოს ვალდებულება, შემქნას სათანადო ბაზა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, რაც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალურ გარანტიებს იძლევა. ერთი რა გასათალისწინებელია, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო აქტი, ადამიანის უფლებების სასამართლო დაცვაზე უარის თქმას ნიშნავს.

ნაშრომში ძირითადად ყურადღება არის გამახვილებული მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალურ ასპექტებზე, რადგან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭიროა მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც არ არის კანონის დარღვევით მოპოვებული.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობა არ აწესებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დასაშვებობისთვის საჭიროა, მტკიცებულება იმ შემთხვევაშია დასაშვები თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველლები არ არსებობს. სწორედ ამიტომ მოქმედი საპროცესო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი სახის მტკიცებულებებს: რომელიც არარელევანტურია საქმესთან მიმართებით, სადაც გაცვლის წესია დარღვეული, აგრეთვე, როცა უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულებებია და ა.შ. ნაშრომში ასევე განხილულია ცალკეული სახის მტკიცებულებების დასაშვებობის პრობლემები. სადაც დეტალურად არის გამოკვლეული „მოწამლული ხის ნაყოფის თეორია“, რომელსაც იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. თუმცა, აქ წავაწყდით პრობლემას, რომელიც ეხება ამ თეორიის საგამონაკლისო შემთხვევებს, რასაც არ იზიარებს ეროვნული კანონმდებლობა. კერძოდ, იმიტომ, რომ მოსამართლე შეზღუდულია დამოუკიდებელ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გარკვეულ შემთხვევებში მიზანშეწონილი არ არის, რადგან არის შემთხვევები, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე მოპოვებულ კანონიერ მტკიცებულებას შორის მიზეზობრივი კავშირი აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, რომ გამოყენებულ იქნას დამოუკიდებელი წყაროს და განწმენდილის ნაკლის გამონაკლისის გამოყენება.

ჩემი აზრით, მტკიცებულების დასაშვებობის წესი მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული, რადგან სამართლებრივი საზოგადოების მთავარი მიზანი დემოკრატიული პრინციპების და სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებაა. ამასთან ერთად მინდა ავღნიშნო, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რომელიმე მხარის დაკმაყოფილება მოხდეს სასამართლოს და სახელმწიფო ორგანოების მიმართ არამედ, ამ ორგანოების გადაწყვეტილებების აღიარება მოხდეს საზოგადოების მხრიდან. როდესაც საზოგადოება ენდობა სასამართლოს შესაბამისად, აღიარებს მის გადაწყვეტილებას. სწორედ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ სამართლებრივ სახელწიფოზე და მაღალი თვითშეგნების საზოგადოებაზე. ამ ყველაფრის მიღწევა კანონიერების პრინციპების დაცვითაა შესაძლებელი.